პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. ა. კ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ორშაბათი,
14
სექტემბერი
1936 წ.
№ 213 (4712)

დღეს გაზეთშია:

- ამხანაგ სტალინის მისალმება მფრინავს ამხ. ლევანევსკის და შტურმანს ამხ. ლევჩენკოს
- ამხანაგ ვოროშილოვის მისალმება ამხ. ლევანევსკის და ამხ. ლევჩენკოს
- კარგი ავეჯი ქვეყანას! (მოწინავე)
- ამხ. ლევანევსკის და ლევჩენკოს დაჯილდოვება
- ლოს - ანჟელოს — მოსკოვი (ამხ. ლევანევსკის გმირული გადაფრენა)
- საქართველოს სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება 1936 წლის შემოდგომის თესვის სახელმწიფო გეგმის შესახებ
- თედო ლლონტი — სტალინური დემოკრატიის შესანიშნავი შედეგები (ფელეტონი)
- მდგომარეობა ესპანეთში
- კატალონიის რაზმელებს შეხვდათ გამარჯვება მადრიდში
- ფრანგ ფაშისტების [illegible]

საბჭოთა კავშირის გმირს—
მფრინავს ლევანევსკის
შტურმანს ლევჩენკოს

ძმური სალამი ჩვენი სამშობლოს მამაც შვილებს!
გილოცავთ ისტორიული გადაფრენის გეგმის წარმატებით შესრულებას.
მაგრად გართმევთ ხელს.

ი. სტალინი

კარგი ავეჯი ქვეყანას!

Უხვი პროდუქტები, ლამაზი და კარგი ტანისამოსი, კოხტა ფეხსაცმელი, იაფი ავეჯი — უამისოდ შეძლებული, მდიდარი, მხიარული ცხოვრება არ არსებობს. ახალ ცხოვრებას ძველი საგნებით, დახავსებული მორთულობით ვერ დავამშვენებთ. ახალი ახალს მოითხოვს, უფრო კარგს, შნოიანს, ლაზათიანს. ცხადია, ავეჯის მრეწველობის მუშაკებს არ გამოადგებათ ძველებურად მუშაობა.

საქართველოში ავეჯის მრეწველობის ფართოდ განვითარებისათვის ყველა პირობა არსებობს. მოგვეპოვება დაუშრეტელი სიმდიდრე ნედლი მასალისა, სხვადასხვა ჯიშის ხეებისა, რომლებიც გამოსადეგია განსაკუთრებით გრეხილი ავეჯის წარმოებისათვის.

ავეჯის ორი დიდი საწარმო გვაქვს: ტფილისის ამხ. მოლოტოვის სახელობის ავეჯეულობის და მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკა. მათ კარგი ტექნიკური დანადგარები აქვთ, უზრუნველყოფილი არიან კადრებით. როგორ უძღვებიან ისინი თავიანთ საქმეს? არც თუ ურიგოდ. მარელისმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 661,8 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად მოგვცა 787,5 ათასი მანეთის პროდუქცია, გეგმა შეასრულა 119 პროცენტით. ამავე პერიოდში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 17,9 პროცენტით, ხუთ თვეში თვითღირებულება შემცირდა 1,8 პროცენტით. საკმაოდ კარგი მაჩვენებელია, მაგრამ ამით არ თავდება საქმე. სტახანოვური მოძრაობა ფაბრიკაში უფრო ფართოდ უნდა გაიშალოს. პროდუქციის ხარისხი—უფრო გაუმჯობესდეს.

სამეურნეო მუშაკი ყოველ „წვრილმანს" ფეხდაფეხ უნდა მისდევდეს, საქმეს უნდა ჩაჰკირკიტებდეს. მაგრამ ეს ყველგან ასე არ არის. მარელისის ფაბრიკაში რატომღაც ვერ ამჩნევდნენ ისეთ „წვრილმანს", როგორიც არის პირველ დამამზადებელ საამქროში ვენტილაციის, ბურბუშელის მექანიკურად გარეთ გამტანის უქონლობა, ჩარჩო-დაზგის შეუკეთებლობა. აქ საამქროებს მასალას ყოველთვის თავის დროზე არ აწოდებდნენ. ამით სტახანოველები მუშაობას სცდებოდნენ.

ამხ. სტალინი ამბობს, სტახანოველებმა ისწავლეს მუშაობაში დროის ფაქტორის დაფასებაო. თუ „წვრილმან" საქმეებზე სტახანოველებს მოუხდებათ სირბილი და ყოველმხრივ არ შეეწყობათ ხელი მუშაობის პროცესში, არაფერი გამოვა, სტახანოვური მოძრაობა ვერ გაიშლება.

ტფილისის ავეჯის ფაბრიკა დიდი ხანია მოწინავეობას ინარჩუნებს. მან წლის პირველი ნახევრის გეგმა ხუთ თვეში 101 პროცენტით შეასრულა — 810,1 ათასის ნაცვლად გამოუშვა 817,8 ათასი მანეთის ავეჯი, იცავს პროდუქციის ხარისხს და კომპლექტიანობას. ტფილისელები ამჟამად მუშაობენ კოპიტის (იფნის) მასალაზე, რომლის კარგად დამუშავებას ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს. ამიტომაა, რომ არამთავარ ავეჯზე ხის ნაწილი ზოგჯერ აქერცლილია, რაც ნაწარმოების ხარისხს უშველია, მდარედ ხდის. ამის დაძლევა შეიძლება კარგი მჭრელების მომზადებით, დასამუშავებელი საგნის ბრუნვის სიჩქარის გადიდებით და მჭრელისათვის მასალის თანმიმდევრობითი მიცემით. ტფილისელებს წელს დიდი ამოცანა აქვთ. მათ წლის ბოლომდე უნდა მოგვცენ 825 ათასი მანეთის უმაღლესი ხარისხის პროდუქცია — ტანისაცმლის შკაფები, სავარძლები, საწერი მაგიდები...

ტფილისის და საქართველოს ზოგიერთი რაიონის საავეჯო არტელები, რომ აშკარად ზერელედ მუშაობენ, ეს უდავოა. მათი პროდუქცია, მცირე გამონაკლისს გარდა, ავეჯის ნამდვილ ფორმას არ ატარებს, მისი ხეირიანი გამოყენება თითქმის შეუძლებელია. საქ. სარეწაო კოოპერაციისა და ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის არტელების ავეჯის დიდი ნაწილი უშნოა, დანჯღრეული, ცუდად შეღებილი, საკეტები სრულიად არ უვარგა. ტფილისის საავეჯო მაღაზიაში (№ 47) შვიდი თვეა დგას არტელ „სოფლის მუშის" „პროდუქცია" — ბუფეტის შკაფი. იგი არაფრად ვარგა, უგემურად არის გაკეთებული, კარი ჩამოვარდნაზეა. კარნიზი დამტვრეული აქვს და, ცხადია, არ იყიდება. მომხმარებელი ჰკვიანად იქცევა, ასეთ „პროდუქციას" რომ არ ყიდულობს.

რას ფიქრობენ ჩვენი მეავეჯენი? სარგებლობენ რა მშრომელთა გაზრდილი მოთხოვნილებით, ისინი წარბშეუხრელად იძლევიან მდარე ხარისხის პროდუქციას, სავაჭრო ორგანიზაციებს უვარგის ავეჯს აჩეჩებენ. ეს დანაშაულია. ავეჯის მკეთებლები უნდა მიხვდნენ, რომ ისინი ბოროტებას სჩადიან, რომ საამური, მზიანი ცხოვრების პირობებში საბჭოთა ადამიანი ცუდ სავარძელს, ტანსაცმლის შკაფს, სკამს არ იყიდის. იგი მოითხოვს მაღალხარისხოვან ავეჯს. მისი ეს მოთხოვნა კეთილსინდისიერად უნდა დავაკმაყოფილოთ. რათ ვარგა ნედლი მასალისაგან გაკეთებული ავეჯი? ის ხომ სულ მალე დასკდება? ან რატომ იძენენ სავაჭრო ორგანიზაციები ცუდ ავეჯს? როგორც ჩანს, ერთნიც და მეორენიც თავიანთ მოვალეობას უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან.

ამ უმსგავსობას ბოლო უნდა მოვუღოთ. ჩვენი ფაბრიკები უნდა იძლეოდნენ მხოლოდ და მხოლოდ კარგი ხარისხის, იაფ, ლამაზ, კოხტა ავეჯს, სავაჭრო ორგანიზაციებმა კი უნდა უარყონ ავეჯის ხელაღებით, უკონტროლოდ, გაუსინჯავად შეძენა.

ჩვენი ავეჯის მუშაკები განსაკუთრებით უნდა ეცადონ ავეჯის ხარისხის გაუმჯობესებას — ეს არის ახლა მთავარი. ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ახალი სახის ავეჯის ათვისება.

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის V პლენუმმა აღნიშნა საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სრულიად არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ფართო მოხმარების საგნების წარმოების დარგში. ავეჯის მრეწველობის მუშაკები მთლიანად იგულისხმებიან ამ შეფასებაში. მათ ამ შეფასებიდან უნდა გააკეთონ საჭირო დასკვნები და ახლებურად გარდაქმნან მთელი მუშაობა.

ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილება საქართველოს მთელი ადგილობრივი მრეწველობისა და მათ შორის ავეჯის მრეწველობისათვის წარმოადგენს მტკიცე სამოქმედო პროგრამას. პარტია ავეჯის მრეწველობის მუშაკებისაგან მოითხოვს პროდუქციის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებას, ნედლეულის მომჭირნეობით, რაციონალურად ხარჯვას, ასორტიმენტისა და კომპლექტიანობის დაცვას, ფინანსიური დისციპლინის განმტკიცებას და 1936 წლის საგეგმო დავალებათა აუცილებლად შესრულებას.

ავეჯის მუშაკებმა ეს მოთხოვნა, საბრძოლო დავალება პირნათლად უნდა შეასრულონ.

ჩვენს ხალხს სურს მხოლოდ და მხოლოდ კარგი ხარისხის ავეჯი, ისეთი, როგორიც მას იამება, მის შეძლებულ ცხოვრებას შეეფერება. ხალხის ამ სურვილის მტკიცედ შესრულების ნიშნით უნდა მუშაობდეს ავეჯის ყველა საწარმო, მათი დირექტორები, ტექხელმძღვანელები, მუშათა კოლექტივები.

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში
(„საქჩაის" 5 სექტემბრის ცნობებით).

საბჭოთა მეურნეობების დასახელება	მოკრეფილია 5 სექტემბრისათვის კილოგრამობით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით
სალიბაურისა	218.388	79,4
ჩაქვისა	1.065.139	98,6
ქობულეთისა	627.211	92,2
კიროვისა	573.002	93
ნასაკირალისა	490.247	89,8
წულუკიძისა	95.056	89,7
დიდი-ჭყონისა	241.947	89,1
ლესიჭინისა	44.588	115,8
ნარაზენისა	311.945	100,5
ჯოლეჯიანისა	124.092	109,5
წალენჯიხისა	138.940	94,5
აჩიგვარისა	185.382	72,1
კოდორისა	65.744	113,3

○

წელს გეგმით საბჭოთა მეურნეობებში უნდა მოიკრიფოს 4.500.320 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. 5 სექტემბრისათვის მოკრეფილი იყო 4.184.314 კილოგრამი, წლიური გეგმის 93 პროცენტი.

ჩაის კვლევითი-სამეცნიერო საკავშირო ინსტიტუტის საცდელ ფართობზე მოკრეფილია 157.066 კილოგრამი.

სექტემბერში, წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით, უნდა მოიკრიფოს 567.278 კილოგრამი ფოთოლი; 5 სექტემბრისათვის მოკრეფილი იყო 85.556 კილოგრამი, თვიური გეგმის 15,1 პროცენტი.

◇ ◇ ◇

დეტროიტში გამართული მასობრივი მიტინგის მონაწილე სომეხთა დეპეშა ამხ. ვ. მ. მოლოტოვს

მოსკოვი, 11 სექტემბერი. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელზე დეტროიტში (ამერიკის შეერთებული შტატები) გამართული მასობრივი მიტინგის მონაწილე სამი ათასი სომხისაგან მიღებულია დეპეშა, რომელშიაც ისინი მხურვალე მადლობას აცხადებენ იმის გამო, რომ საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სომეხ იმიგრანტებისათვის შეღავათებისა და დახმარების აღმოჩენის შესახებ.

„ამ გადაწყვეტილებაში ჩვენ ვხედავთ იმ ადამიანებზე საბჭოთა მთავრობის საუცხოო ჰუმანური მზრუნველობის ახალ გამოხატულებას, რომლებიც წარსულში ჩაგვრას განიცდიდნენ. თქვენი გადაწყვეტილება სიხარულითა და იმედით აღგვავსებს ჩვენ და ასობით სხვა ლტოლვილ სომხებს, მსოფლიო ომის მსხვერპლთ. ჩვენ აღფრთოვანებით მივესალმებით ახალ საბჭოთა კონსტიტუციას, ყველაზე დემოკრატიულ ქარტიას, რომელიც უზრუნველჰყოფს მოქალაქეებისათვის შრომის, სწავლის და დასვენების უფლებას და რომელიც ნამდვილ დამოუკიდებლობას ანიჭებს ყველა ხალხს".

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა
1936 წლის შემოდგომის თესვის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი **ადგენენ**:

1. დამტკიცებულ იქნეს საბჭოთა მეურნეობებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში სამარცვლეულო და საბოსტნე კულტურების საშემოდგომო თესვის შემდეგი გეგმა (ჰექტარობით):

	მარცვლეული				საქონლის საკვები ბალახი	ბოსტნეული	სულ
	ხორბალი	ქერი	ჭვავი	სულ მარცვლეული			
1. კოლმეურნეობებში	215630	16230	8550	235410	8160	1260	239830
აქედან: კოლმეურნეობებში, რომელთაც მომსახურებას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები .	175120	13780	2000	190900	2690	1240	194830
კოლმეურნეობებში, რომელთაც სამ.-სატრ. სადგ. მომს. არ უწევენ	40510	2450	1550	44510	470	20	45000
2. ერთპირ. მეურნეობებში . . .	40000	4300	200	44500	250	1040	45790
სულ კოლმეურნეობებსა და ერთპირ. მეურნეობებში . . .	255630	20530	8750	279910	8410	2300	285620
3. ყველა სისტემის საბჭოთა მეურნეობებში	4350	3520	—	7870	550	—	8420
აქედან მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემის საბჭოთა მეურნეობებში . . .	4330	3340	—	7670	550	—	8220
მ თ ლ ა დ . .	259980	24050	8750	287780	8960	2300	294040

2. შემოდგომის თესვის რაიონებსა და სექტორებზე განაწილების გეგმა დამტკიცებულ იქნეს.

3. დაევალოს სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს იმ კოლმეურნეობებში, სადაც დადგენილია თესლბრუნვა, შემოდგომის თესვისა და მძრალად ხვნის გეგმა განსაზღვრონ მიღებული თესლბრუნვისა და მასზე გადასვლის გეგმის შესაბამისად.

4. ნაპურალის (ნაწვერალის), ნასვენი სახნავის და საშემოდგომო კულტურების დასათესად დანიშნული ნაბალახარი (ნათესი) მიწების თესვა დამთავრებულ იქნეს 20 დღით ადრე თესვამდე.

5. დაევალოს სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს — დაამთავრონ სექტემბრის 1-თვის ნასვენის გადახვნა და მთლად გაასუფთაონ იგი სარეველასაგან. ყველა რაიონში ჩატარებულ იქნეს ნიადაგის გულდასმითი თესვისწინა დამუშავება (გადახვნა, აოშვა, კულტივაცია და ფარცხვა).

6. სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უზრუნველჰყონ გულდასმით განმზადებული ნაკვეთების გამოყოფა საკვები ბალახის დასათესად და ბალახის თესვა დაამთავრონ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ განსაზღვრულ ვადებზე.

7. ბრიგადირ- მემინდვრეებისაგან ნიადაგის თესვისწინა დამუშავებისა და თესვის სამუშაოების თვისებრივი მიღება დაეკისროს: კოლმეურნეობებში — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — უფროს აგრონომებსა და განყოფილებათა გამგეებს.

8. რაიონებში საშემოდგომო კულტურების თესვის დამთავრების ზღვრული ვადები განისაზღვროს:

ა) ახალქალაქისა, ბოგდანოვკისა და წალკის რაიონებში — ოქტომბრის 5;

ბ) ახალციხისა, ადიგენისა, ასპინძისა, ბორჯომისა, ტფილისისა, დუშეთისა, ალბულაღისა, საგარეჯოს, ბაშკიჩეთისა, თიანეთისა და ონის რაიონებში და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში — ოქტომბრის 15;

გ) გურჯაანისა, სიღნაღისა, თელავისა, ყვარლისა, ლაგოდეხისა, ხაშურისა, გორისა, კასპისა, ყარაიას, ლუქსემბურგისა, ბორჩალოს, ამბროლაურისა, ცაგერისა, ჭიათურისა და სამტრედიის რაიონებში — ოქტომბრის 25.

9. სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა დაადიფერენციონ, ამა დადგენილების მე-8 მუხლით დადგენილ ფარგლებში, თესვის დამთავრების ვადები ცალკეულ ზონებზე და სასოფლო საბჭოებზე, რისთვისაც მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს თვითეული მასივის თავისებურებანი; ამასთანავე, პირველ რიგში უნდა დაითესოს ნასვენი და ნაპურალი (ნაწვერალი). საშემოდგომო მარცვლეული კულტურებისა და ბალახის თესვა თვითეულ საბჭოთა მეურნეობაში და კოლმეურნეობაში ჩატარებულ იქნეს არა უმეტეს, ვიდრე 7-10 სამუშაო დღეში.

10. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) საოლქო კომიტეტმა, სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულმა კომიტეტებმა დააწესონ განთესვის დიფერენცირებული ნორმები, რაც უნდა უზრუნველჰყოფდეს ნათესის საჭირო სიხშირეს.

განთესვის დიფერენცირებული ნორმების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს თესლის ჯიში და ხარისხი, ნიადაგისა და კლიმატური პირობები, ნიადაგის დამუშავება, თესვის ვადები, შემოდგომის თესვის წინ ნათესი კულტურები და თესვის ხერხი (მწკრივადი თუ გაფანტული თესვა).

11. დაევალოს კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს: ა) გასცენ სათესლე მარცვლეული სათესი ფართობისა და განთესისათვის დადგენილი ნორმის სრული შესაბამობით; ბ) თესლი გასცენ მარტოოდენ აწონვით; გ) დააწესონ კონტროლი თესლის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის.

12. მწკრივადი თესვის გეგმა განისაზღვროს: კოლმეურნეობებში — 63.000 ჰექტ. ფართობით; აქედან: სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ტრაქტორებით — 34.300 ჰექტ. საბჭოთა მეურნეობებში მწკრივადი თესვა უზრუნველყოფილ იქნეს მთლად სათეს ფართობზე.

13. განისაზღვროს კოლმეურნეობებში სათესლე ფონდების დაგროვება შემდეგი რაოდენობით: საშემოდგომო ხორბალი — 363.375 ცენტნერით; საშემოდგომო ქერი—29.269 ცენტნერით; საშემოდგომო ჭვავი — 5.720 ცენტნერით; საგაზაფხულო ხორბალი — 55.810 ცენტნერით; საგაზაფხულო ქერი — 102.749 ცენტნერით; ასლი — 8.614 ცენტნერით; შვრია — 2.178 ცენტნერით; ფეტვი — 1.570 ცენტნერით; საშემოდგომო ცერცველა — 4.330 ცენტნერით; საგაზაფხულო ცერცველა — 22.330 ცენტნერით; მუხუდო (ბარდა) — 15.970 ცენტნერით და ოსპი — 2.730 ცენტნერით.

კოლმეურნეობებში სათესლე ფონდი უნდა დაგროვდეს ხარისხოვანი მარცვლეულით სათესლე ნაკვეთებიდან. სხვა მარცვლეულის დაგროვება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სათესლე ნაკვეთებზე მოგროვილი მარცვლეული როდი უზრუნველჰყოფს სათესლე ფონდების დაგროვებისათვის განსაზღვრულ გეგმას.

სათესლე ფონდების დაგროვების დამთავრების ვადა განისაზღვროს თავთავიანი კულტურებისათვის სექტემბრის 15-ით.

14. უზრუნველყოფილ იქნეს ყველა კოლმეურნეობაში მარცვლეული კულტურების თესლის ხელუხლებელი, ყოველწლიურ განსაახლებელი სადაზღვევო ფონდის დაგროვება წლიური მოთხოვნილების 10-15 პროცენტის რაოდენობით, რისთვისაც გამოყენებულ იქნეს კოლმეურნეობებში გამოყოფილ სათესლე ნაკვეთებზე მოგროვილი მარცვლეული.

15. ჩატარებულ იქნეს აუცილებლად მთელი სათესი მასალის განიავება და დახარისხება, ისე, რომ მრავალჯერ დატრიერებით მიღწეულ იქნეს თესლის მაღალი კონდიციობა.

16. ჩატარებულ იქნეს აუცილებლად მარცვლეული და საკვები კულტურების სათესლე მასალის თვისებრივი შემოწმება სათესლე-საკონტროლო ლაბორატორიებში ყველა საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში. თესლის ნიმუშების გადარჩევა ანალიზისათვის დაეკისროს კოლმეურნეობებში აგრონომებს, კოლმეურნეობის თავმჯდომარის თანადასწრებით და სათანადო აქტის შედგენით. მარცვლეული კულტურების თესლი 90 პროცენტზე დაბალი ამოსვლაუნარიანობით არ იქნეს სრულიად თესვისთვის გამოყენებული და იგი უნდა გადაიცვალოს საკონდიციო თესლზე. ამოსვლაუნარიანობით და სიწმინდით საკონდიციო, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ვარგისობით 100 პროცენტზე დაბალი სათესი მასალის განთესვის ნორმა გადიდებულ იქნეს ვარგისობის დანაკლი პროცენტით. სათესლე მასალის თვისებრივი შემოწმება დამთავრებულ იქნეს 20 დღით ადრე თესვის დაწყებამდე.

17. აიკრძალოს შეუწამლელი თესლის თესვა. თესლი შეიწამლოს იმის შემდეგ, რაც გამოირკვევა მისი სათესლედ ვარგისობა, აგრონომის ხელმძღვანელობით და აუცილებლად შეწამლის აქტის შედგენით, რასაც ხელს მოაწერენ აგრონომი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე და საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

18. გეგმა კოლმეურნეობებში საშემოდგომო ხორბლის თესვისა წმინდა ჯიშიანი თესლით განისაზღვროს 106.044 ჰექტარი ფართობით; აქედან სახჯიშფონდის ნათესი — 5.300 ჰექტ.. დამტკიცებულ იქნეს გეგმა საშემოდგომო ხორბლის თესვისა ცალკეული ჯიშების მიხედვით: კოოპერატორკა — 71.763 ჰექტ., უკრაინკა—27.957 ჰექტ., აპულიკუმი — 4.714 ჰექტ., გაუმჯობესებული დოლისპური — 1.610 ჰექტ..

19. დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) საოლქო კომიტეტს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს — უზრუნველჰყონ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სათესლე ნაკვეთების გამოყოფა საშემოდგომო ხორბლისა, საშემოდგომო ქერისა, ჭვავისა და ბალახის თესვისათვის ჯიშიანი და გადარჩეული გაუმჯობესებული ადგილობრივი თესლით. დაწესდეს, რომ თესლისათვის გამოყოფილი ნაკვეთების ოდენობა უნდა შეადგენდეს საშემოდგომო ხორბლისა და ჭვავისათვის ამ კულტურების სათესი ფართობის 12 პროცენტს, ხოლო ქერისათვის 13 პროცენტს.

20. სათესლე ნაკვეთებისათვის მიჩნეულ იქნეს: ა) გულდასმით დამუშავებული ნასვენის ფართობი; ბ) სათოხნი კულტურებისათვის მრავალჯერ და გულდასმით დამუშავებული მიწები; გ) ნაბალახარი (ერთწლიანი) ფართობი, რომელიც, ბალახის აღებისას, ზაფხულში ღრმად იქნა მოხნული.

21. ჩატარებულ იქნეს მთლად კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების ფართობზე (სახნავი, საძოვარი, სათიბი) იმის გამოკვლევა, თუ რამდენად არის მოდებული მინდვრის თაგვი და ჩატარებულ იქნეს ბრძოლა მასთან მთლად თაგვმოდებულ ფართობზე მის სრულ ლიკვიდაციამდე.

თაგვმოდებულობის გამოკვლევა და ბრძოლა მასთან დამთავრებულ იქნეს ოქტომბრის 1-თვის.

22. საკოლმეურნეო მინდვრებში ა.-წ. შემოდგომაზე ნაკელის შეტანის გეგმა განისაზღვროს 457.000 საზიდავის რაოდენობით.

23. საბჭოთა მეურნეობებისაგან ჩამონაჭრი მიწებით კოლმეურნეობების მიწათსარგებლობის გაფართოების გამო — 1936 წელს მძრალად მოხვნის გეგმა 1937 წლის საგაზაფხულო ნათესისათვის განისაზღვროს 260.300 ჰექტარით; აქედან საბჭოთა მეურნეობებში — 5.600 ჰექტ., კოლმეურნეობებში — 239.700 ჰექტ. (აქედან იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც მომსახურებას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები „უწევენ—199.700 ჰექტ.) და ერთპიროვნულ მეურნეობებში—15.000 ჰექტ.. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა სამი დღის ვადაზე მიაწვდინოს რაიონებამდე ახალი დავალებანი კოლმეურნეობათა მიწათსარგებლობის მიმდინარე გაფართოების სრული შესაბამობით.

24. სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უზრუნველჰყონ ღრმა მძრალად ნახნავით შაქრის ჭარხლის მთელი ნათესი და სავსებით უზრუნველჰყონ მძრალად ნახნავით ბამბისა, თამბაქოს და სხვა ტექნიკური კულტურების ნათესები. ბამბის ნათესისათვის მძრალად ნახნავის გეგმა განისაზღვროს 4.000 ჰექტარით, შაქრის ჭარხლისა — 5.000 ჰექტარით და თამბაქოსი — 9.240 ჰექტარით.

25. დაევალოს სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და კოლმეურნეობების გამგეობებს — მოაწყონ კონტროლი მძრალად მოხვნის სამუშაოების თავის დროზე ასრულებისა და მძრალად მოხვნის ხარისხისათვის (ღრმა ხნული, ბელტის კარგად გადაბრუნება, ხარეზების აცილება და სხვა მისთ.).

26. სამხრეთ - ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა მიიღონ ანგარიშში კოლმეურნეობათა ხელთქონებული ნიადაგდამმუშავებელი, მარცვალსაწმენდი და სათესი ინვენტარი და მისი მდგომარეობა და უნდა მოაწყონ დაუყოვნებლივ მისი რემონტი.

27. სარწყავ ნაკვეთებზე საშემოდგომო კულტურების დათესვისთანავე აუცილებლად ჩატარებულ იქნეს მორწყვა.

28. ჩატარებულ იქნეს მიმდინარე წლის შემოდგომაზე ხელით მარგვლა საშემოდგომო მარცვლეული კულტურების ფესვგადგმის შემდეგ მთლად სარეველამოდებულ ფართობზე მისგან ნათესის სავსებით განთავისუფლებამდე.

29. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა დაამთავრონ არა უგვიანეს სექტემბრის 1-სა საშემოდგომო თესვის საგეგმო დავალებათა მიწვდენა საბჭოთა მეურნეობებამდე, კოლმეურნეობებამდე და ერთპიროვნულ მეურნეობამდე.

საქართველოს სსრ სახალხო
კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი

საქართველოს კომუნისტური
პარტიის (ბ) ცენტრალური
კომიტეტის მდივანი
ლ. ბერია

1936 წ. აგვისტოს 23
ტფილისი.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხ. ს. ლევანევსკი
საბჭოთა კავშირის გმირი

საბჭოთა კავშირის გმირს—მფრინავს ამხ. ლევანევსკის და შტურმანს— ამხ. ლევჩენკოს

მხურვალედ გილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო, წარმატებით დამთავრებას ლოს - ანჟელოს—მოსკოვის ბრწყინვალე გადაფრენისას, რომელმაც დასაბამი მისცა საერთაშორისო მნიშვნელობის ახალ საჰაერო ტრასას.

თქვენ მიერ განვლილ 19 ათასი კილომეტრის მანძილზე, რომლიდანაც ნახევარზე მეტი—არქტიკაზე გაიარეთ, თქვენ შეგხვდათ მრავალი სიძნელე, მაგრამ თქვენი მაღალი საფრენოსნო ოსტატობით, სიმამაცით, შეუპოვრობით და გამძლეობით ისინი ბრწყინვალეთ დასძლიეთ.

თქვენმა გადაფრენამ მთელ მსოფლიოს ერთხელ კიდევ უჩვენა, თუ რის უნარი აქვთ საბჭოთა მფრინავებს—ჩვენი ქვეყნის შევარდნებს, ლენინ - სტალინის დიადი პარტიის მიერ აღზრდილთ.

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ ახალ ბრწყინვალე გამარჯვებებს არქტიკის საჰაერო გზების დაპყრობის საქმეში.

კ. ვოროშილოვი

მოსკოვი. 1936 წ. 12 სექტემბერი.

◇ △ ◇

გმირული გადაფრენა დასრულდა

მოსკოვი, 13 სექტემბერი, (ელვა „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ლევანევსკი დაეშვა შჩოლკოვოს აეროდრომზე ჩვიდმეტ საათსა და თორმეტ წუთზე.

◇ ◇ ◇

ამხ. ლევანევსკის და ლევჩენკოს დაჯილდოვება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რომელსაც ხელს აწერენ სსრ კავშირის ცაკის თავმჯდომარე ამხ. პეტროვსკი და სსრ კავშირის ცაკის მდივანი ამხ. აკულოვი, ჩრდილოეთის საჰაერო ტრასის ათვისებაში ახალ თვალსაჩინო წარმატებათა მიღწევისათვის, საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. სიგიზმუნდ ალექსანდრეს-ძე ლევანევსკი, რომელიც წინათ დაჯილდოვებული იყო ლენინის ორდენითა და წითელი ვარსკვლავის ორდენით, — დაჯილდოვებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო შტურმანი ამხ. ვიქტორ ივანეს-ძე ლევჩენკო— ლენინის ორდენით.

ამხ. ლევანევსკის მიეცა ფულადი ჯილდო 25 ათასი მანეთი და შტურმან ამხ. ლევჩენკოს 15 ათასი მანეთი. (საქტა).

ამხ. ლევჩენკო

◇

მოსკოვი

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველო —
სიგიზმუნდ ლევანევსკის

მხურვალედ მოგესალმებით თქვენ, ძვირფასო მეგობარო, დედამიწის სამ მეოთხედ ნაწილზე შესანიშნავი გადაფრენის დამთავრების გამო. თქვენმა გადაფრენამ არქტიკის მეშვეობით შეაერთა ამერიკა, აზია და ევროპა. ეს გადაფრენა წარმოადგენს ბრწყინვალე მომზადებას მატერიკებს შორის ტრანსარქტიკული კავშირის დიადი იდეის განხორციელებისათვის.

შმიდტი

გემი „ლიტკე" 11 სექტემბერი

◇

ამხ. ვოდოპიანოვის მ ი ს ა ლ მ ე ბ ა ამხ. ლევანევსკის

გორკი, 11 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. ვოდოპიანოვმა, რომელიც ამჟამად გორკში იმყოფება, საკ. დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის მეშვეობით შემდეგი მისალმება გაუგზავნა ამხ. ლევანევსკის:

— ცოტა ხნის წინათ შენი სახელი მთელს მსოფლიოში გავარდა, როცა შენ დახმარება აღმოუჩინე ამერიკელ მფრინავს მატერნს, რომელსაც დაღუპვა მოელოდა. ახლა შენ გადასჭერი განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანა—გაიყვანე მარშრუტი მომავალი რეგულარული საჰაერო ხაზისათვის სსრ კავშირი —ამერიკა. მოხდა ისეთი გადაფრენა, რომელმაც კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა სახელოვანი საბჭოთა ავიაციის ისტორიაში.

ნაკლებად გამოკვლეულ ტრასაზე, მაღალ ქედებზე, მთლიან ღრუბლებსა და სქელ ნისლში 19 ათასი კილომეტრის გავლა შეიძლიათ მხოლოდ ჩვენი დიადი სამშობლოს, დიადი პარტიის, დიდი სტალინის მიერ აღზრდილ მფრინავებს.

მაგრად გართმევ ხელს, გაბედულო ამხანაგო.

საბჭოთა კავშირის გმირი:
ვოდოპიანოვი.

ლოს-ანჟელოს—მოსკოვი



ამხ. ს. ა. ლევანევსკის გადაფრენის ტრასა

ამხ. ლევანევსკის გმირული გადაფრენა

მოსკოვი, 11 სექტემბერი. ლევანევსკის თვითმფრინავი, რომელიც შეღებილია მწვანედ და წითლად და რომელზედაც თეთრი ასოებით წარწერილია „სსრკ—H 208", აფრინდა ლოს-ანჟელოსში 5 აგვისტოს საღამოს 10 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით. შესანიშნავი და სწრაფმავალი მონოპლანი, რომელიც მთლიანად დურალისაგან არის გაკეთებული, სწრაფად ავიდა ჰაერში და აიღო კურსი სიეტლ-ჯუნო - ფერბენქს - ნომ - უელენისაკენ...

ამერიკაში ჩრდილოეთით საჰაერო გზის ათვისებაში მთავარი როლი საბჭოთა კავშირს ეკუთვნის. საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში გაფრენის ორი ძირითადი მიმართულებაა. პირველია გზა ჩრდილოეთის პოლუსზე. იგი ყველაზე უფრო მოკლეა, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი ხანი დასჭირდება, სანამ იგი გამოსადეგი გახდებოდეს რეგულარული რეისებისათვის. მეორე არის საჰაერო გზა საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში. ეს გზა გადის ციმბირზე, კამჩატკაზე, ჩუკოტის ნახევარ კუნძულზე, ბერინგის სრუტესა და ალიასკაზე. ეს ტრასა უდიდეს სიძნელეებს წარმოადგენს, მაგრამ იგი მაინც ყველაზე უფრო შესაძლებელია. ამ მარშრუტით გადაფრენა უკვე არა-ერთხელ მოახდინეს საბჭოთა და ამერიკელმა მფრინავებმა, მაგრამ ამ საჰაერო ტრასის ათვისება მთლიანად დღემდე ჯერ კიდევ არავის არ მოუხდენია. როგორც ვიცით, ორი ამერიკელი მფრინავი — მატერნი და ვილი პოსტი — ცდილობდნენ გადაფრენა მოეხდინათ ამ ტრასით. მფრინავმა მატერნმა 1933 წელს ავარია განიცადა ანადირში. ამხ. ლევანევსკიმ მატერნი თავის თვითმფრინავით ჩაიყვანა ნომში. 1933 წელს პოსტმა მოახდინა გაფრენა დედამიწის ირგვლივ, მშვიდობით გადაფრინდა მოსკოვიდან ფერბენქსში. 1935 წელს ვილი — პოსტი ცდილობდა საბჭოთა კავშირში ალიასკით გადმოფრენას, მაგრამ ტრაგიკულად დაიღუპა.

ლევანევსკი არ ცდილობდა რეკორდების დამყარებას. მისი გადაფრენის მიზანი იყო — ჰაეროლოგიური პირობების შესწავლა ჩრდილოეთის სივრცეებში, საბჭოთა კავშირ-ამერიკის უახლოესი ტრასის დაწვრილებით შესწავლა.

მარშრუტი 19 ათასი კილომეტრია დამთავრებულია. მაგრამ არამარტო უზარმაზარი მანძილი განსაზღვრავს ამ განსაკუთრებული გადაფრენის სიძნელეს. ამ სიძნელეთა გადალახვამ მოითხოვა მთელი ეკიპაჟის ნამდვილი გმირობა, უდიდესი გამძლეობა უდიდესი საფრენოსნო გამოცდილება.

გადაფრენის ყველაზე უფრო ძნელი ეტაპი იყო წყნარი ოკეანის სანაპირო, კანადის სანაპირო. კანადის ტერიტორიაზე გადაფრენის დროს თვითმფრინავი მოხვდა მძიმე ატმოსფერულ პირობებში. ხშირი ნისლი იდგა, განუწყვეტლივ წვიმდა. ლევანევსკიმ გადასწყვიტა გზა გაეკაფა ნისლში და გაფრენილიყო ალიასკისკენ. მთელი გზა სიეტლიდან ჯუნომდე ლევანევსკიმ და ლევჩენკომ ბრმად იფრინეს, ხან დიდ სიმაღლეზე ღრუბლებს ზევით, ხან მათ ქვემოთ, ხან ზღვის თითქმის ზედაპირზე. წვიმა, ნისლი და ქარი გასაქანს არ აძლევდა მათ მთელ გზაზე. განსაკუთრებით ხშირი ნისლი იდგა წყნარ ოკეანეზე. ხილვადობა სრულიად არ იყო. თვითმფრინავი წყალს ეკვროდა. ლევანევსკი ეთათბირა ლევჩენკოს და გადასწყვიტა დაშვებულიყო. დაშვება მოახდინეს კუნძულ გუზ-აილენდის ახლოს. ოკეანეზე ღამე ჩამოწვა. მთელი ხანგრძლივი ღამის განმავლობაში ლევანევსკიმ და ლევჩენკომ ღელვასთან ბრძოლაში გაატარეს. მდინარებას თვითმფრინავი ქვებისკენ მიჰქონდა. ისინი გაუხდელად, ტანსაცმლიანად წყალში ჩახტნენ და გმირული ბრძოლა გაუმართეს სტიქიას, რათა თვითმფრინავი გადაერჩინათ. ისინი ეცემოდნენ და კვლავ დგებოდნენ, ებღაუჭებოდნენ ქვიშას, ქვას, კენჭებს, მათ შესძლეს თვითმფრინავის კლდეებისთვის მოცილება. განთიადზე ღელვა მიწყნარდა, მაგრამ დაიწყო ზღვის წაზღვავება. თვითმფრინავი რიყეზე დარჩა და აუჭირო შეიქნა კიდევ ერთი დღის ლოდინი სრული მოზღვავებისთვის.

ლევანევსკის თვითმფრინავი აგებულია ლოს-ანჟელოსის ახლოს „ვაიტის" — ქარხანაში. თვითმფრინავზე დადგმულია ერთი მოტორი „რაიტ-ციკლონი" 890 ცხ. ძალის სიმძლავრისა. თვითმფრინავს აქვს მაქსიმალური სისწრაფე საათში 350 კილომეტრი. მას შეუძლია აფრენა 5.900 მეტრის სიმაღლეზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არქტიკისათვის, როდესაც საჭირო ხდება გადასვლა მთის მწვერვალებზე, ღრუბლებზე, საჭიროა მაღლა იფრინო გაყინვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. თვითმფრინავი მოწყობილია მეტად სრულქმნილი აპარატურით ბრმად ფრენისათვის, რადიოკომპასით, რადიოსატელეგრაფო დანადგარებით, დიდი ყურადღება აქვს მიქცეული მის შინამოწყობილებას. თვითმფრინავის გათბობა ისეა მოწყობილი, რომ ყველა ხელსაწყო და მოწყობილობა დაუბრკოლებლად მუშაობს ტემპერატურის შემდეგ დიაპაზონში: პლუს 25-დან მინუს 50 გრადუსამდე ცელსიუსით. არქტიკაში გადაფრენის დროსაც კი მფრინავებს თბილი ტანსაცმელი არ ჩაუცვამთ.

ლოს - ანჟელოსიდან იაკუტსკამდე მთელი გზის მანძილზე მფრინავები იწერდნენ ქრონოლოგიურ დაკვირვებებს, სწავლობდნენ ტემპერატურას, ტენიანობას, დაშვების პირობებს, მეტეოროლოგიურ პირობებს ნალექთა რაოდენობას. მათ დააგროვეს დიდი მეცნიერული მასალა, რომელიც აშუქებს საჰაერო გზის ყველა მხარეს. ბევრი რამ კიდევ დამატებით იქნება შესასწავლი და დასაზუსტებელი. (საქდს).

ამხ. ლევანევსკი კრასნოიარსკში

მდგომარეობა ესპანეთის ფრონტებზე

მადრიდი, 12 სექტემბერი. სამხედრო სამინისტროს დღევანდელი ცნობა შემდეგნაირად ახასიათებს ფრონტებზე არსებულ მდგომარეობას:

სამხრეთით, კორდოვის რაიონში, მურიანოს მთასთან სწარმოებდა ბრძოლა, რომელიც რესპუბლიკელებისათვის წარმატებით დამთავრდა.

ესტრამადურის ფრონტზე, სანტა-ოლალიას რაიონში, დღეს დილით რესპუბლიკელთა ავიაციის აქტიური მონაწილეობით დაიწყო რესპუბლიკელთა შეტევა.

გახშირდა მეამბოხეთა ნაწილების ჯარისკაცთა გადასვლა რესპუბლიკელთა მხარეზე.

ლონდონი, 12 სექტემბერი. ინგლისის პრესის კორესპონდენტები, რომელნიც ჩრდილო-ესპანეთში მეამბოხეთა ძალების სარდლობასთან იმყოფებიან, იუწყებიან, რომ დიდი მასშტაბით დაიწყო შეტევა სან-სებასტიანის წინააღმდეგ.

ბარსელონაში გამოქვეყნებული კომუნიკეს თანახმად, სახალხო მილიციის ერთერთმა კოლონამ ტყვედ ჩაიგდო 600 მეამბოხე. „ნიუს ქრონიკლის" კორესპონდენტი, რომელიც არაგონის ფრონტზე იმყოფება, იუწყება, რომ ამჟამად მთავრობის ძალები სარგებლობენ ახალი ტიპის ტანკებით, რომლებიც საათში 72 კილომეტრის სისწრაფით მოძრაობენ.

პარიზი, 12 სექტემბერი. ესპანეთის მთავრობის გადმოცემით, რესპუბლიკელთა ავიაცია და არტილერია განაგრძობენ ბომბარდირებას ოვიედოს რაიონში, თვით ოვიედოში იფეთქა სახადის ეპიდემიამ, რაც აძლიერებს დემორალიზაციას მეამბოხეთა რიგებში.

სარაგოსის ფრონტზე რესპუბლიკელთა კოლონა, რომელიც ვალენსიადან გამოვიდა, განაგრძობს სვლას ტერუელისაკენ. გუადის (გრენადიდან აღმოსავლეთით) სექტორში რესპუბლიკელებმა დიდი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს.

◇ ◇ ◇

სამხედრო მოქმედებანი ესპანეთში

მადრიდი, 12 სექტემბერი. როგორც „ელ სოსიალისტა" იუწყება, მოწინააღმდეგემ გუშინ ყუმბარა დაუშინა სანტა ოლალას, სანტა კრუს დელ რეტამარს, ფუენსალიდას და ტორიხოს. ყველა დასახელებული პუნქტი მდებარეობს მადრიდსა და ტალავერას შორის.

სამხედრო სამინისტროს ცნობაში აღნიშნულია, რომ მოწინააღმდეგე კვლავ ცდილობს გაარღვიოს რესპუბლიკელთა ფრონტი სიერა-გვადარამასთან იმ მიზნით, რომ დაჰკრას რესპუბლიკელთა იმ ჯარების ფლანგს, რომლებიც ტალავერას მხრით ფაშისტ მეამბოხეთა შემოტევას აჩერებენ.

რაც შეეხება სხვა სექტორებს, სარაგოსის მიმართულებით რესპუბლიკელებმა, როგორც ჩანს, ვერ შესძლეს უესკას დაცვა.

კორდოვის სექტორში მოხდა რესპუბლიკელებისათვის წარმატებული ბრძოლები მონტოროსა და გუადისის რაიონში (საქდს).

◇ ◇ ◇

კატალონიის რაზმელებს შეხვედრა გაუმართეს მადრიდში

მადრიდი, 12 სექტემბერი. მადრიდში ჩამოვიდა კატალონიის იმ რაზმელთა კოლონა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ დესანტში კუნძულ მაიორკაზე. კოლონა უნდა გაემგზავროს ესპანეთის ცენტრალური ნაწილის სამხედრო მოქმედებათა ერთერთ სექტორში.

მადრიდის მოსახლეობამ მხურვალე და მეგობრული შეხვედრა გაუმართა კოლონას (საქდს).

◇ ◇ ◇

ამხ. ურიბეს სიტყვა გლეხებისადმი

მადრიდი, 12 სექტემბერი. მიწათმოქმედების მინისტრმა ვისენტე ურიბემ (ესპანეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა), რომელიც დაესწრო მთავრობის ახალი რადიოსადგურის გახსნას ხაენში, მთავრობის სახელით ესპანეთის გლეხებს მიმართა სიტყვით, რომელშიაც, კერძოდ, აღნიშნა:

„ესპანეთში სამუდამოდ ბოლო მოეღო ლატიფუნდიებს (მსხვილ მამულებს). იმ მიწაზე, რომლის ექსპლოატაციას წინათ უკანონო მფლობელნი ახდენდნენ, შემდეგ იშრომებენ ჩვენი ქვეყნის გლეხები და სოფლის მეურნეობის მუშები".

ურიბე სოფლის მშრომელებს მოუწოდებდა, მიწის არც ერთი ნაკვეთი არ დასტოვოთ დაუმუშავებლად და გახსოვდეთ, რომ ამაზეა დამოკიდებული ესპანეთის სახალხო მეურნეობის მდგომარეობა და ფაშიზმზე გამარჯვებაო.

კომუნისტური პარტიის ორგანოს „მუნდო ობრეროს" თანამშრომელთან საუბარში ურიბემ დაახასიათა ესპანეთის სასურსათო მდგომარეობა და სთქვა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში მომარაგების პრობლემა დამოკიდებულია არა იმდენად პროდუქტების ნაკლებობაზე, რამდენადაც მომარაგების ორგანიზაციის ნაკლოვანებაზე. მიწათმოქმედების მინისტრმა აღნიშნა, რომ პირველი რიგის ამოცანა ფრონტის მომარაგებით უზრუნველყოფააო.

ურიბემ უპასუხა ჟურნალისტის კითხვას და აღნიშნა, რომ ესპანეთში არის მრავალი მამული, რომლების მფლობელნი მეამბოხეებთან გაიქცნენ. ეს მამულები გადადის სხვადასხვა ორგანიზაციისა და მუნიციპალიტეტთა ხელში, რომლებსაც ევალებათ უზრუნველყონ სასოფლო სამეურნეო სამუშაოთა ნორმალური მსვლელობა, რათა შიმშილობა თავიდან ავიცილოთ ესპანეთში. „აგრარულ რეფორმათა ინსტიტუტის" საქმიანობა ახლა სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს. მიწის წვრილ მესაკუთრეებს ყოველგვარი დახმარება გაეწევა. „აგრარულ რეფორმათა ინსტიტუტის" დირექტორად დანიშნულია კომუნისტი ენრიკო კასტრო (საქდს).

◇

„პტი პარიზიენი" ვარშავაში ბასტიდის ჩასვლის შესახებ

პარიზი, 12 სექტემბერი. „პტი პარიზიენის" ვარშაველი კორესპონდენტი კომენტარიას უკეთებს ვარშავაში პოლ ბასტიდის ჩასვლას და აღნიშნავს: ბასტიდის ჩასვლა საშუალებას მოგვცემს მოვაგვაროთ ყველა სადაო საკითხი ეკონომიურ დარგში, იგი გადაგვიშლის ორივე ქვეყნის ეკონომიური თანამშრომლობის ახალ პერსპექტივებს. (საქდს).

მეამბოხეებმა ესპანეთიდან განდევნეს ინგლისის გაზეთების კორესპონდენტები

ლონდონი, 12 სექტემბერი. „ტაიმსი" და „მორნინგ პოსტი" იუწყებიან, რომ მეამბოხეებმა ესპანეთიდან განდევნეს მათი თანამშრომლები. „ტაიმსის" ფოტოგრაფი ირუნიდან განდევნეს მას შემდეგ, რაც ეს ქალაქი მეამბოხეებმა დაიჭირეს. „მორნინგ პოსტის" კორესპონდენტი იძულებული იყო ბურგოსი [illegible] პირობებით, რომლებსაც მას მეამბოხეები [illegible] მიუღებელი იყო. „ტაიმსის" და „მორნინგ პოსტის" კორესპონდენტები [illegible] ნი ბარადად გაჩხრიკეს და მთელ მათ მიწერმოწერას, კინოსურათებსა და ფოტოგრაფიულ სურათებს კონფისკაცია უყვეს (საქდს).

◇ ◇ ◇

ფრანგ ფაშისტების მოლაპარაკება ესპანეთის მეამბოხეებთან

პარიზი, 11 სექტემბერი. „რადიოს" სააგენტოს ცნობით, ესპანეთში გამგზავრებული ფრანგი ფაშისტი დეპუტატი იბარნეგარე გუშინ ჩავიდა პამპლონში, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებდა მეამბოხეთა ლიდერებთან.

„ლუმანიტე" კომენტარიას უკეთებს იბარნეგარეს გამგზავრებას და სწერს:

„აი როგორ ესმით ფრანგ ფაშისტებს ნეიტრალიტეტი. ნეიტრალიტეტი, თურმე მდგომარეობს საფრანგეთის იმ მტრებისადმი სიმპატიების გამოცხადებაში, რომლებსაც სურთ ესპანეთი ჰიტლერის პლაცდარმად გადააქციონ" (საქდს).

◇ ◇ ◇

რევოლუციური მოძრაობა პორტუგალიაში იზრდება

ლონდონი, 12 სექტემბერი. მიუხედავად პორტუგალიის ოფიციალური წყაროების უარყოფისა, „ნიუს ქრონიკლის" სპეციალური კორესპონდენტი გიბრალტარიდან იუწყება, რომ რევოლუციური მოძრაობა პორტუგალიაში იზრდება. პორტუგალიის ფლოტის მრავალი გემის ეკიპაჟმა თანაგრძნობა გამოუცხადა ესპანეთის მთავრობას.

კორესპონდენტის სიტყვით, პორტუგალიაში ფაშიზმის წინააღმდეგ გამოცხადებულია საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა. პორტუგალიაში ფაშისტური რეჟიმი,—სწერს კორესპონდენტი,—მხოლოდ არმიას ეყრდნობაო (საქდს).

◇ ◇ ◇

განცხადებათა გაცვლა საბჭოთა კავშირის და ნორვეგიის მთავრობებს შორის

მოსკოვი, 11 სექტემბერი. სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის (ნორვეგიაში) ამხ. იაკუბოვიჩის მიერ ა-წ 29 აგვისტოს ნორვეგიის მთავრობისათვის გაკეთებული წარდგინების საპასუხოდ ნორვეგიის იუსტიციის მინისტრმა ლიმ, რომელიც მაშინ საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას ასრულებდა, თავის 3 სექტემბრის პასუხში აცნობა; როცა 1935 წლის ივნისში ტროცკის და მის ცოლს მიეცათ ნორვეგიაში შესვლისა და იქ 6 თვის ვადით დარჩენის უფლება, ჩამოერთვათ პირობა, რომ იგი და მისი ცოლი არ გასწევდნენ პოლიტიკურ საქმიანობას ნორვეგიაში, ან პოლიტიკურ აგიტაციას უნდა ისეთ საქმიანობას, რომელიც მიმართულია ნორვეგიასთან მეგობრულ ურთიერთობაში მყოფი ქვეყნის წინააღმდეგ.

როგორც ბ. ლიმ განაცხადა, ტროცკის საკუთარი განცხადებების, სხვადასხვა საგაზეთო სტატიების და სხვა მასალების საფუძველზე, ცენტრალურმა საპასპორტო განყოფილებამ გამოარკვია, რომ მან დაარღვია ჩვენს ქვეყანაში ყოფნის პირობები, რომლებიც მას მთავრობამ დაუყენა. ამიტომ ნორვეგიის მთავრობამ დაადგინა შეიმუშაოს ჩვენს ქვეყანაში მისი ყოფნის უფრო ზუსტი პირობები. როცა მან 25 აგვისტოს უარი განაცხადა ხელი მოეწერა მთავრობის მიერ დაყენებულ პირობებზე, მისი ბინა მაშინვე იქნა აღებული პოლიციის სათანადო მეთვალყურეობის ქვეშ, ხოლო მას შემდეგ, რაც ტროცკის საკუთარმა ჩვენებებმა ოსლოს სასამართლოში 28 აგვისტოს კიდევ უფრო ნათლად დაადასტურეს, რომ მან დაარღვია ჩვენს სახელმწიფოში ყოფნის პირობები, იმავე დღეს, ნაშუადღევს, იგი სავსებით იზოლირებულ იქნა გარე ქვეყნისაგან და პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იქნა დაყენებული. მას აუკრძალეს ვიზიტებთან შეხვედრა, აუკრძალეს ტელეგრაფით სარგებლობა, აგრეთვე დააწესეს კონტროლი მის ფოსტასა და დეპეშებზე. ეს ღონისძიებანი შემდეგ დადასტურებულ იქნა მეფის ა-წ 31 აგვისტოს რეზოლუციით. თავშესაფარის პირობითი უფლება, რომელიც მიეცა ტროცკის და მის ცოლს ნორვეგიაში 1935 წლის ივნისიდან, 1936 წლის 25 აგვისტოს შეზღუდულ იქნა, ხოლო 28 აგვისტოს მას წაართვეს ეს უფლებები. ბ-ნ ლიმ განაცხადა, რომ „ნორვეგიის მთავრობამ ტროცკი (და მისი ცოლი) ისეთ კონტროლქვეშ დააყენა, რომ გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს მის მიერ მომავალში ისეთი საქციელის ჩადენის შესაძლებლობა, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ან დაემუქროს სსრ კავშირის სახელმწიფო ინტერესებს".

იმის გამო, რომ ნორვეგიის მთავრობის აღნიშნულ ცნობაში ჩამოთვლილი ღონისძიებანი არ შეიძლება ჩაითვალოს თავშესაფარის უფლების ნამდვილ წართმევად, ამხ. იაკუბოვიჩმა ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განუცხადა, რომ მან საბჭოთა მთავრობას გადასცა ნორვეგიის მთავრობის განცხადება, მიღებული იუსტიციის მინისტრის ლისაგან და რომ საბჭოთა მთავრობას, სამწუხაროდ, შესაძლებლად არ მიაჩნია ჩასთვალოს ეს განცხადება დამაკმაყოფილებლად და ისეთად, რომელიც შეეფერება სსრ კავშირსა და ნორვეგიას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს, და რომ საბჭოთა მთავრობის აზრით ნორვეგიის მთავრობამ თავისი პასუხით იკისრა მთელი პასუხისმგებლობა მის მიერ მიღებული ზომების ეფექტიურობისათვის და ნორვეგიაში ტროცკის შემდგომი ყოფნის შედეგებისათვის. (საქდს).

თედო ღლონტი

სტალინური დემოგრაფიის შესანიშნავი შედეგები

I.

ამხ. სტალინი ამბობს: „ერი — ესაა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა ენისა, ტერიტორიისა, ეკონომიური ცხოვრებისა და ფსიქიური წყობისა, რომელიც კულტურის ერთობაში იხატება"[1].

რა პირობებში იმყოფება საქართველოში მოსახლე ერების ეროვნული მთლიანობა, რა ცვლილება განიცადა მოსახლეობის მოძრაობამ?

ამ საკითხის დასამუშავებლად საქართველოს ბოლოდროინდელი პერიოდის ისტორია ორ ნაწილად უნდა გავყოთ. პირველ ნაწილში უნდა მოვაქციოთ საქართველოს ისტორია საბჭოთა წყობილების დამყარებამდე, მეორე ნაწილში კი — საბჭოთა საქართველოს პერიოდი.

დღევანდლამდე ძნელი იყო საბჭოთა წყობილების პერიოდის მოსახლეობის მოძრაობის გაშუქება იმ უბრალო მოსაზრებით, რომ მოსახლეობის მოძრაობის შესასწავლად საჭიროა გარკვეული პერიოდი, რათა დაგროვილი მასალის დამუშავება შეიძლებოდეს. საქართველოში საბჭოთა წყობილების ისტორია 15 წელზე მეტს შეიცავს, ამ შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში იმდენი მასალა დაგროვდა ჩვენი მოსახლეობის მოძრაობის ანალიზისათვის და ეს მასალა ისეთ შესანიშნავ სურათს გვიშლის, როგორც საქართველოში, ისე სომხეთსა და აზერბეიჯანში, რომ ამ მასალის დამუშავებას და გაცნობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანო „პრავდა" ამ საკითხის შესახებ ამას წინათ სწერდა: „სოციალიზმმა გამოიწვია საწარმოო ძალების გიგანტური განვითარება. ჩვენს ქვეყანაში რადიკალურად შეიცვალა მცხოვრებთა განსახლება (расселение людей), კულტურის და საწარმოო კვალიფიკაციის დონე"[2].

ამ წერილში ჩვენ განვიხილავთ საკითხს უმთავრესად ტფილისის მოსახლეობის ფარგლებში, ვინაიდან ტფილისის ცხოვრებაზე განსაკუთრებული სისწორით არის აღბეჭდილი მეფის რეჟიმის მიერ შექმნილი ქალაქის და სოფლის დეგრადაციის და დენაციონალიზაციის პროცესი და იგივე ქალაქი, ბაქოსი და ერევნის გვერდით, საბჭოთა წყობილების ხანაში ჩვენ გვაძლევს აღორძინებისა და ნაციის ყველა კულტურული ძალის განვითარების ნიმუშს.

რასაკვირველია, ქალაქის ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელი ქვეყნის ცხოვრებასთან. იგი მთელი სახელმწიფოს გული და უმთავრესი ბარომეტრია. ამიტომ მთელს ქვეყანაში წარმოებული სახელმწიფო პოლიტიკის შედეგებში ჩვენ ვნახავთ, როგორც სოფლის, ისე უმთავრესად ქალაქის ცხოვრების სურათსაც.

რა იწვევდა ქართველ ხალხის დაშლას და გადაგვარებას საბჭოთა წყობილების დამყარებამდე საქართველოში? ამ კითხვაზე ამხანაგი სტალინი იძლევა გადამჭრელ პასუხს. „მეფის მთავრობა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — ატარებდა განაპირა ეროვნებათა ძალდატანებით რუსიფიკაციას, მისი მოქმედების მეთოდს შეადგენდა დედაენის აკრძალვა, დარბევა და სხვა შევიწროებანი"[3].

ამითაც არ კმაყოფილდებოდა მეფის მთავრობა. ამხანაგი სტალინი ამბობს: „ცარიზმმა განაპირა ქვეყნების საუკეთესო კუთხეებში განზრახ დაასახლა კოლონიზატორული ელემენტები იმისთვის, რომ მკვიდრი მცხოვრებნი გაედევნა უარეს რაიონებში და გაეძლიერებინა ეროვნული შუღლი"[4].

მეფის მთავრობა მიმართავდა ათასგვარ საშუალებას არარუსთა შესავიწროებლად. ამხანაგ ლენინს ცარიზმის ეს პოლიტიკა მიაჩნდა სამარცხვინოდ. ლენინი სწერდა: „ჩვენს ველიკორუსულ ნაციონალიზმს და მემამულურ პატრიოტიზმს ახლა, ვგონებ, ბადალი არა ჰყავს ევროპაში, არა მარტო ევროპაში, არამედ აზიაშიც. მთელს მსოფლიოში ვერ ნახავთ იმაზე უარესს, იმაზე უფრო სამარცხვინოს, რასაც სჩადიან ჩვენში დაჩაგრული ერების მიმართ"[5].

მეფის მთავრობა ყველა დაჩაგრული ერის მიმართ აწარმოებდა გამანადგურებელ პოლიტიკას, ამხანაგი სტალინი მეფის მთავრობის პოლიტიკას ავსტრიულ და პრუსიულ ნაციონალისტურ პოლიტიკას უწოდებს. მეფის მთავრობა ცხოვრების ყველა დარგში ატარებდა ამ პოლიტიკას. ჯერ ისევ რუსის მეფე პავლე I აფრთხილებდა თავის მოხელეებს, რომ საქართველოს ირგვლივ არ უნდა იყოს სხვა მძლავრი სახელმწიფო, საჭიროა ირანის და ოსმალეთის დასუსტება, ხოლო საქართველო უნდა იყოს რუსეთის ბაზა[6].

მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლებიდან მეფის მთავრობის დანგრევის უკანასკნელ მომენტამდე სისტემატურად და გამალებით სწარმოებდა საქართველოში ქართველი ხალხის შევიწროება, სხვადასხვა ეროვნული ჯგუფის კოლონიზაცია და მათ შორის ეროვნული შუღლის გამეფება.

შემოჰყავდათ რუსები, სომხები, მაგრამ რუსეთის მთავრობას სრულიად არ აინტერესებდა ამ ერების ბედი.

ბუტკოვი, ვერეშჩაგინი და სხვ. უამრავ მასალას იძლევიან, რითაც მტკიცდება, რომ ცარიზმის კოლონიზაცია პირველ ყოვლისა მუსრს ავლებდა თვით გადმოსახლებულ რუსობას, სომხობას და სხ. კოლონიზაციის პოლიტიკით ცარიზმი ერების მთლიანობას კი არ ამაგრებდა, არამედ არღვევდა. ოსმალეთიდან შემოჰყავდათ დაჩაგრული სომხები, მაგრამ მათ სომხეთს არ აკარებდნენ. რუსებს იქ ასახლებდნენ, სადაც რუსობა არ იყო. ესე იგი ცარიზმი ხელოვნურად აჭრელებდა ისედაც ეთნიურად აჭრელებულ ამიერ-კავკასიის ქვეყნებს, აუარესებდა მკვიდრთა ცხოვრებას, და დაღუპვის კარამდე მიჰყავდა საკოლონიზაციოდ შემოყვანილი სხვადასხვა ხალხი.

უმთავრესად ყურადღება ექცეოდა მიწა-ადგილის მარაგის შექმნას, რომ ამ გზით გაეჩინათ სულ ახალი კოლონიები, XIX საუკუნის მიწურულში ტფილისის გუბერნიაში გლეხების ხელთ იყო 293 ათასი ჰექტარი მიწა, ხოლო მეფის ხაზინის ხელში — 1.579 ათასი ჰექტარი. თვით ქუთაისის გუბერნიაში, რომელიც განთქმული იყო უმიწაწყლობით, გლეხობის ხელში იყო 143 ათასი ჰექტარი ვარგისი მიწა, ხოლო ხაზინის ხელში — 377 ათასი ჰექტარი. მეფის მოხელეები დოლგოვი, სასნოვსკი, თვით მეფის მოადგილე ვორონცოვ-დაშკოვი აღნიშნავდნენ, რომ ხაზინა ათასგვარი საშუალებით ართმევდა ადგილობრივ ხალხს მიწა-ადგილს, გარდა ამისა სადაოდ იყო გამოცხადებული ერთ მილიონზე მეტი. მიწა-ადგილი[7]. ჩვენთვის არ არის საჭირო გადმოვალაგოთ აქ ამ ბრძოლის დეტალები.

მეორე საუკუნეში კოლონიზაციის ტალღა განსაკუთრებით უნდა გაშლილიყო. მეფის მთავრობის ცენტრალური ორგანოები უკმაყოფილო იყვნენ საქართველოში არსებულ საკოლონიზაციო მიღწევებით. მიწათმოქმედების მინისტრი კრივოშეინი სრულებით არ მალავდა ამ უკმაყოფილებას და ვორონცოვ-დაშკოვისგან მოითხოვდა კოლონიზაციის პოლიტიკის ფართოდ გაშლას[8].

მეფის მთავრობა არ ავითარებდა ჩვენში მრეწველობას. რუსული ენა გამოცხადებული იყო ერთადერთ სახელმწიფო ენად და მთელი მმართველობა რუსულ ენაზე იყო გადაყვანილი. ამ გზით საქართველოს ყველა მთავარი ადგილები რუსის მოხელეების ხელში იყო. ასე, მაგალითად, 1911 წლისათვის ტფილისის გუბერნიაში 9,7 პროც. რუსის მოსახლეობას საგუბერნიო დაწესებულებებში ეჭირა თანამდებობათა 50,5 პროც. ასეთსავე სურათს წარმოადგენდა სკოლათა ცხოვრება.

მიწა-ადგილი, მართველობა, სკოლა საკმაო საილუსტრაციო მასალაა მეფის მთავრობის პოლიტიკის დასახასიათებლად. მთლიანად ეს პოლიტიკა იწვევდა რუსეთის ამ განაპირა ადგილში რუსული ეთნიური ელემენტის ხელოვნურ გამრავლებას და ადგილობრივი ძალების დასუსტებას.

ოქტომბრის რევოლუციამ, საბჭოთა წყობილებამ საქართველოში განავითარა ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკა, ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ მოსპო მეფის მთავრობის შოვინისტური პოლიტიკა, კომუნისტური პარტიის პოლიტიკამ გაშალა დაჩაგრული ერების პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თავისუფლება, მოსპო ყოველივე ნაციონალიზმი, ენის შევიწროვება, კოლონიზაციის პოლიტიკა. საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ჩვენში შეიქმნა ნამდვილი თანასწორობა ქართველთა და სომეხთა შორის, თანასწორობა ქართველთა და რუსთა შორის, ყველა ერის თანასწორობა.

რა მივიღეთ მოსახლეობის მოძრაობაში ლენინურ - სტალინური პოლიტიკის შედეგად?

II.

ეროვნული საკითხის გადაჭრისათვის კომუნისტურმა პარტიამ მიიღო მთელი რიგი ზომები, რომელნიც წარმოადგენენ მეცნიერული სოციალიზმის უძვირფასეს განძს. ლენინის და სტალინის პირველი და უმთავრესი დებულება ეროვნულ საკითხში არის ყოველგვარი ნაციონალიზმის მოსპობა. რუსეთში უნდა მოისპოს ნაციონალიზმი ველიკორუსული, უკრაინაში — უკრაინული, საქართველოში—ქართული და ასე ყველგან — აი ჩვენი პარტიის გზა ერების ნამდვილ თავისუფლების საქმეში.

მაგრამ კომუნისტური პარტია ერთი წუთითაც არ კმაყოფილდებოდა მარტო ამ შესანიშნავი დებულების წამოყენებით. ძველი რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ ერები, რომელნიც მეფის მთავრობამ დააგლახავა და დაამონავა. ჩამორჩენილი ერების ნამდვილი თავისუფლება მოითხოვდა კულტურულად და ეკონომიურად წინწასული ერების მხრივ განსაკუთრებულ დახმარებას. ჩამორჩენილების განსაკუთრებული ყურადღებით დაწინაურებას.

„ახლა, — ამბობდა ყველა დაჩაგრული ერის და მშრომელი ხალხის ბელადი ამხანაგი სტალინი,—როცა მემამულეები და ბურჟუები ჩამოგდებული არიან, ხოლო საბჭოთა ძალაუფლება აღიარებულია ხალხთა მასების მიერ ამ ქვეყნებშიაც, პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს არაველიკორუს ხალხების მშრომელ მასებს — დაეწიონ წინ წასულ ცენტრალურ რუსეთს, დაეხმაროს მათ: ა). განავითარონ და განამტკიცონ თავისთან საბჭოთა სახელმწიფოებრიობა ამ ხალხთა ეროვნული სახეობის შესაფერის ნაციონალური ფორმებით; ბ). მოაწყონ თავისთან დედაენაზე მომქმედი სასამართლო, ადმინისტრაცია, მეურნეობის ორგანოები, ძალაუფლება, შემდგარი ადგილობრივ ძალებისგან, რომელთაც ეცოდინებათ ადგილობრივი მოსახლეობის ფსიქოლოგია და ყოფაცხოვრება; გ). განავითარონ თავისთან პრესა, სკოლა, თეატრი, საკლუბო საქმე და საერთოდ კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი დედაენაზე"[9].

მაგრამ ამხანაგი სტალინი არ კმაყოფილდება ამითაც, „აუცილებელია, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — რომ სკოლისა და ენის გარდა რუსეთის პროლეტარიატმა მიიღოს ყოველი ზომა, რათა განაპირა ქვეყნებში, კულტურულად ჩამორჩენილ რესპუბლიკებში, — ისინი ხომ თავიანთი მიზეზით არ ჩამორჩენილან, ისინი ჩამორჩენ იმიტომ, რომ, წინათ მათ უყურებდნენ, როგორც ნედლი მასალის წყაროს, — აუცილებლად მიაღწიონ იმას, რომ ამ რესპუბლიკებში მოეწყოს მრეწველობის კერები"[10].

ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის მოსპობას და ერის საწარმოო ძალების განვითარებას უზრუნველჰყოფენ არა მარტო ეს იშვიათი და შესანიშნავი ღონისძიებანი, არამედ სოციალიზმის მთელი სისტემა, საბჭოთა წყობილების არსებობა. კერძო საკუთრების მოსპობამ შეუძლებლად გახადა ერის დამონავება. კოლმეურნეობის გამარჯვებამ შექმნა მკვიდრი მოსახლეობის სრული სიმტკიცე და მოსპო ყოველი ხიფათი იმპერიალისტური კოლონიზაციისა.

ამხანაგი სტალინი ამბობს: **„თუ კერძო საკუთრება და კაპიტალი უცილობლად სთიშავს ადამიანებს, აღვივებს ეროვნულ შუღლს და აძლიერებს ეროვნულ ჩაგვრას, სამაგიეროდ კოლექტიური საკუთრება და შრომა უცილობლად აახლოვებს ადამიანებს, ძირს უთხრის ეროვნულ შუღლს და ჰსპობს ნაციონალურ ჩაგვრას"**[11].

პოლიტიკის და ზომების მთელმა ამ სისტემამ საქართველოში შექმნა სრულიად ახალი სოციალური, ეკონომიური და ნაციონალური ცხოვრება. საქართველოში მოსახლე ყველა ერებს შორის, სომეხია ის, რუსი, ოსი, თურქი, აფხაზი თუ სხვა, კაპიტალიზმის მოსპობითა და ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის საშუალებით დამყარდა ნამდვილი ერთობა თანასწორობა, ამხანაგობა და სოლიდარობა. ერთა პარაზიტული ელემენტების მოსპობით, ყველა ერის მშრომელისთვის შრომის ფართო ასპარეზის გაშლით საქართველოში მოსახლე ერის მასებს სრული განვითარების საშუალება მიეცათ. მოსახლეობის ზრდა, განსახლება, მისი მთლიანობა დამყარდა სოციალიზმის საფუძვლებზე. ქართველს არავინ აშორებს საქართველოს, სომეხს ან რუსს, რომელნიც საქართველოში მოსახლეობენ, არავინ ერეკება საქართველოდან.

ყველა ერი თავის სამშობლოში ცხოვრობს, თავის სამშობლოში აქვს სამუშაო, შრომის პირობები და სხვ. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს კარჩაკეტილობას, პირიქით, ამჟამად ერებს შორის მეტი ურთიერთობა არსებობს, ვიდრე ოდესმე არსებულა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ხალხს უამრავი სამუშაო აქვს თავის ქვეყანაში. აი ამ პირობებმა მოსპეს დენაციონალიზაცია, ქალაქად და სოფლად შეუძლებელი შეიქმნა ამა

---

[1] И. Сталин — „Марксизм и национально-колониальный вопрос" გვ. 6. 1935 წ.

[2] იხ. „Правда", 29 აპრილის მოწინავე, 1936 წ.

[3] И. Сталин — „Статьи и речи об Украине", გვ. 34. 1936 წ.

[4] И. Сталин — „Статьи и речи об Украине", გვ. 110.

[5] В. Ленин — „Статьи и речи об Украине", გვ. 214. 1936 წ.

[6] „Акты, собранные кавказской археографической комиссией", ტ. I. გვ. 97.

[7] Сосновский — „Материалы по вопросу о распространений действ крес по земельного банка на Закавказский край".

[8] Воронцов - Дашков — „Всеподданейший отчет за 8 лет управления кавказом გვ. 27, 1913 წ.

[9] И. Сталин — „Марксизм и национально-колониальный вопрос" გვ. 70.

[10] И. Сталин — „Марксизм и национально-колониальный вопрос" გვ. 117.

[11] И Сталин — „Статьи и речи об Украине" გვ. 119. ხაზი ჩვენია. თ. ღ.

ოკაცჰესი

მუდამ თოვლით შემოსილი მთის ასხის კალთებზე უხსოვარი დროიდან გაშენებულია სოფელი კინჩხა. სოფელი სავსეა და მდიდარი: წიფლის ტყეებით, კალმახიანი მთის მდინარეებით, სუფთა და ანკარა წყაროებით; ადამიანის გამაჯანმრთელებელი გრილი ჰაერით, ალპური საძოვრებით.

მდინარე ოკაცის ჩანჩქერი 200 მეტრის სიმაღლიდან მოჰქუხს პიტალო კლდეზე, ჯერ თეთრ ქაფად გადმოეფინება, შემდეგ მილიარდობის მსგავს ნამსხვრევებად იქცევა, ცისარტყელის ფერებად ციმციმებს მზიან დღეს და მიდამოს ერთი კილომეტრის მანძილზე საამურ შხეფებს აპკურებს. საოცარი ჩანჩქერია. თვალწარმტაცია ბუნებაც.

1912 წელს ინგლისელი მოგზაური ქალი მარგარიტა ჩემბერსი ტყუილად როდი მოიყვანა ამ ჩანჩქერმა აღტაცებაში. მოგზაურმა ქალმა ამ მიდამოთა სურათებით გაავსო ლონდონის ერთ-ერთი ტურისტული ჟურნალი. 1857 წ. თვითმპყრობელობის ერთგული სატრაპი, მაშინდელი სამეგრელოს ოლქის უფროსი ბოროზდინიც მოხიბლა ამ სანახაობამ. ბოროზდინი ტურისტული მიზნებით არა სწვევია კინჩხას. არა, ოღონდ მიქავს აჯანყებას აქრობდა და კინჩხაც, როგორც სამეგრელოს ნაწილი, აჯანყების ცეცხლში იყო გახვეული — ბოროზდინს „ურჩი" კინჩხელების „ჭკუის სწავლება" უნდოდა და შემთხვევით წააწყდა ოკაცის ჩანჩქერს. ის თავის მოგონებებში სწერს: „ოკაცის ჩანჩქერი და მთელი ბუნების სილამაზე და ლაზათი ადამიანს ხიბლავს, ატყვევებს, თვალი ვერ ძღება მზერით. ეს ადგილი რომ შვეიცარიაში იყოს, იქ ტურისტების ფულით ქალაქი გაშენდებოდა. მაგრამ კავკასია ბუნების ყველა სიმშვენიერეს თავისი მიუვალობით ჰფარავს, ვის რა სურვილი აქვება მივიდეს სადღაც კინჩხაში, სადაც გზა არ არის, გარდა ვიწრო ბილიკისა, და ყოველი საჟენის გავლა, ადამიანს სიკვდილს უქადის!".

მაგრამ დღეს კინჩხა ბოროზდინის დროის ჩამორჩენილი და მიყრუებული კინჩხა როდია, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პარტიისა და ხელისუფლების დახმარებით კინჩხა აღმავლობის გზას დაადგა. მთლიად აღმოფხვრილია წერაკითხვის უცოდინარობა. კოლექტივიზაცია 90 პროცენტს აღწევს. აქ არის სკოლები, კლუბები, ფოსტა, საექიმო პუნქტი და ყოველგვარი კულტურული დაწესებულება. მოხდა აგრეთვე უგზოობის ლიკვიდაცია. — დღეს კინჩხელი მშრომელი ავტომანქანის გუგუნს თავის სოფელში ისმენს.

წულუკიძის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების კონკრეტული და ენერგიული დახმარებით კინჩხელები გიჟი ოკაცის თეთრი ნახშირის გამოყენებას შეუდგნენ. მიზანი? სოფლის ელექტროფიკაცია, კოლმეურნეთა სახლებში „ილიჩის შუქურას" [illegible]. გაიშალა მუშაობა. მდ. ოკაცო რკინა-ბეტონის არტახებით შეიბოჭა. შეიცვალა მდინარის კალაპოტი — ამოღებულია 7,200 კ-მეტრი მიწა. აფეთქებულია კლდე 2,400 კ-მეტრი. დაბეტონებულია 3.400 კ-მეტრი. დამთავრებულია საგუბარი, არხი საწნეო აუზი, წყლის გამტარი მილები, ორსართულიანი საგენერატორო შენობა, მოტანილია გენერატორი, ნაწილი მავთულიც. სადგური პირველ რიგში 250 ცხენის ძალას მოგვცემს. სრულიად შესაძლებელია სადგურის სიმძლავრე 700 ცხ. ძალამდე იქნას აყვანილი. საქ. სახკომსაბჭომ ამ სადგურის დასამთავრებლად წელს 50.000 მანეთი გადასდო — თანხები თითქმის ათვისებულია.

ოკაცჰესსაც ჰყავს საუკეთესო სტახანოველები, გეგმებს რომ დიდი გადაჭარბებით და სარეკორდო დროში ასრულებენ: პარტორგი ამხ. ამბერკი მამარდაშვილი, სემლარ კუხალაშვილი, კაპიტო კუხალაშვილი, ნოე ქაროსანიძე, მიხელ ჯიშკარიანი (80 წლის მოხუცი ენტუზიასტი), თადა კუხალაშვილი და სხვანი. ოკაცჰესის მშენებლობის სულის ჩამდგმელები და ხელმძღვანელები არიან წულუკიძის რაიკომის მდივანი ამხ. შ. თალაკვაძე და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვლ. ჩადარეიშვილი.

ოკაცჰესი ამ ერთ თვეში უნდა ამუშავდეს. ასეთია რაიკომის ბიუროს დადგენილება: — ოკაცჰესის მშენებლებს ეს არ გაუჭირდებათ. ოღონდ ერთი დიდი ხარვეზია ამოსავსები. მშენებლობას ჯერ კიდევ არა აქვს მიღებული ტურბინა. ესღა თუ შეაჩერებს სადგურის ამუშავებას.

ხარობს სოფელი. სინათლის მოლოდინშია ყველა. დღე ერთია და ათობით მოდიან სადგურის დასათვალიერებლად.

— ნეტა როდის ვეღირსებით სინათლეს? — ნუ თუ მართლა ელექტრონის სინათლე გვექნება სახლში? — ხომ არ დამიწვამს სახლს „ლამპოჩკა"? კითხულობენ გლეხები. ოკაცჰესით ამაყობს მხარე. იმღერიან გოგონები, ყმაწვილები, ალიღინებენ ლექსს:

ძველი ყოფის უვიცობას
დაეკარგა გზა და კვალი;
იცვლის სახეს ჩვენი მხარე,
გოხარებს მომავალი.

საამური ცხოვრებაა
გუშინდელზე უკეთესი.
ჩვენ სადგომებს გაგვინათებს
ელსადგური ოკაცჰესი —

ტყვილა როდი ჩაუვლია
ამ ჩვენს ჯაფას იქ მიტანილს,
ვაშა, ვაშა, მშრომელთ ბელადს
მიღწევების ტიტანს სტალინს!

კინჩხის მშრომელები მოუთმენლად მოელიან ოკაცჰესის დამთავრებას.

ოკაცჰესის მშენებლებს კიდევ ერთი ბიძგი სჭირდებათ — უკანასკნელად ერთი ქვის მიტანა და საქმე დაგვირგვინებული გამოვა. ეს ბიძგი წულუკიძის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების პასუხისმგებელმა ამხანაგებმა უნდა მისცენ.

ა. ქაროსანიძე.

◇ ◇ ◇

უპარტიო ახალგაზრდობა მხედველობიდან გამორჩათ

ჩხოროწყუს კომკავშირულ ორგანიზაციებში ახალი კონსტიტუციის დამუშავება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, მაგრამ ამავე დროს კონსტიტუციის პროექტის შესწავლისას ადგილობრივ, რაიონულ ორგანიზაციებს მხედველობიდან გამორჩათ უპარტიო ახალგაზრდობა.

ლესიჭინის კოლმეურნეობა „ტემპში" ადგილობრივმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ კონსტიტუციის პროექტის შემსწავლელ წრეებში არ ჩააბა უპარტიო ახალგაზრდობა. იმავე სოფლის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში უპარტიო ახალგაზრდებმა სრულიად არაფერი იციან ახალ კონსტიტუციაზე. სხვათაშორის, ამ მეურნეობაში მომუშავე ახალგაზრდათა შორის უმრავლესობას რუსები შეადგენენ და არავის გახსენებია, რომ თუ წრეებს არ მოაწყობდნენ მათთვის, რუსულ ენაზე დაბეჭდილი მასალები მაინც მიეწოდებინათ.

კომკავშირის რაიონულმა კომიტეტმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს სათანადო ღონისძიებები.

ქ. დგებუაძე.

„სტალინური დამკვრელის" ნიშნით დაჯილდოებულ ელმავლის მტარებელ ამხ. ტატიშვილს საუკეთესო მუშაობისათვის დაჯილდოებულია ორ ოთახიანი ბინით და რადიოდადგმულობით. სურათზე: ამხ. ტატიშვილი თავის ოჯახის წევრთა შორის ახალ ბინაში.

შვილი და მშობელი

მხოლოდ სოციალიზმის დროს შეიძლება დამკვიდრდეს მოყვასის ნამდვილი სიყვარული, ნამდვილი კეთილშობილური ურთიერთობა თავისუფალ მშრომელთა შორის, — ჭეშმარიტად კეთილშობილი გრძნობები.

ხალხთა დიდი მასწავლებლის და საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის სათუთი ზრუნვა ადამიანზე, მუშაკზე, მშრომელ ქალზე და მომავალ თაობაზე უდიდესი მისაბაძი მაგალითი გახდა მშრომელთა მეგობრობის, ამხანაგობისა და თავდადების, ნამდვილი მშობლიური სიყვარულის დანერგვის საქმეში.

ჩვენში დედობა ყველაზე საპატიოა. სახელი და დიდება იმ დედას, ვინც თავდადებით ზრუნავს ბავშვების წესიერ აღზრდაზე. ბავშვების აღზრდა სრულიადაც არ არის მშობელთა კერძო საქმე. ეს პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და მთელი საბჭოთა საზოგადოების საერთო ზრუნვის საგანს შეადგენს. კომუნისტთა თითოეულის ცხოვრებაში ხშირად მთავარი ადგილი ოჯახზე, შვილებზე ზრუნვას აქვს დათმობილი, მხოლოდ ის არის ნამდვილი კომუნისტი, ჭეშმარიტად მოწინავე, ჩვენი ქვეყნის მართლაც წარჩინებული ადამიანი, ვინც მუდმივად და შეუსუსტებლად ზრუნავს ოჯახის წესიერად მოწყობაზე, შვილების კულტურულ აღზრდაზე.

მაგრამ, სამწუხაროდ ჯერ კიდევ მოიპოვებიან თითო-ოროლა მახინჯები, წყეული ძველი ყოფაცხოვრების გადმონაშთები, რომელნიც უდარდელობას იჩენენ ამ საქმეში, გაურბიან შვილებზე ზრუნვას, ბავშვებს ბედისამარა სტოვებენ „გადიკარგებიან", რათა თავი აარიდონ მშობლის მოვალეობას.

საბჭოთა ქვეყნის ამ ულირს შვილებზე მოსდის ჩვენს რედაქციას წერილები, მოსდის შეურაცხყოფილი და უპატრონოდ მიტოვებული დედის საჩივარი, მამობრივ ზრუნვას მოკლებული ბავშვების ჩივილი. ისინი თხოულობენ შველას, დახმარებას.

კითხულობ ამ წერილებს და გული გტკივა, რომ ეს თითო-ოროლა მახინჯი უწმინდური ლაქებად შერჩენია ახალ სოციალისტურ საზოგადოების ჯანსაღ და სისხლსავსე სხეულს.

○

აი 9 წლის ეთერ ფორჩხიძის წერილი. ეთერი საჩხერის (ტყიბულის რაიონი) არასრული საშუალო სკოლის მეორე ჯგუფის მოწაფეა. ის ჩივის გულქვა მამას ილიკო ფორჩხიძეს, რომ სრულებით არ ზრუნავს მასზე, არ ეხმარება. პირიქით კინაღამ საბრალო დედა არ მოკლა რევოლვერით: „როგორ გაბედე სარჩოს მოთხოვნაო". ილიკო ფორჩხიძემ მიატოვა ოჯახი 1934 წელს, გაემგზავრა ტყიბულის რაიონს, შეირთო მეორე ცოლი და არხეინად ცხოვრობს ქუთაისში. პირველი ოჯახი კი სულ მიივიწყა.

უფრო სამწუხარო ის არის რომ არც საჩხერის სოფლის საბჭომ და არც ტყიბულის რაიონულმა ორგანიზაციებმა სათანადო ყურადღება არ მიაქციეს პატარა ეთერს და მის ავადმყოფ დედას. სასამართლოს დადგენილებით ფორჩხიძის ქონება უნდა გაყოფილიყო და ნაწილი მისცემოდა ვასასა ფორჩხიძეს (ეთერის დედას), ილიკომ თავისი სახლის კოდები ჩამოჭრა და გზას გაუდგა. პასუხი მისთვის არავის მოუთხოვია, უფრო მეტი: ყურადღებაც კი არ მიუქცევიათ ამ საქმისთვის.

ამის შემდეგ გასაკვირი არ არის ეთერის შემდეგი სიტყვები: „მიკვირს, რომ ყურადღება მომაქციეთ გაჭირვებულს, მიკვირს, რადგან სადაც კი მივედით მე და დედაჩემი სამართლის საძიებლად, ყველგან ზურგი შეგვაქციეს, უსინდისო მამაჩემს ბევრი იცნობს და მისი მხარე დაიჭირეს". ეთერი ითხოვს დახმარებას: „მრწამს, რომ თქვენ ამ საქმეში დამეხმარებით. გაივლის დრო, გავიზრდები, მეც მამასავით პარტიის წევრი გავხდები, მაგრამ კომპარტიის საპატიო სახელს მასავით არასოდეს არ შევურაცხყოფ". ნუ თუ ეს სიტყვები არ მოხვდება ილიკოს გულს. ნუ თუ სამუდამოდ დაუხშვია მას მშობლიური გრძნობები?

○

კიდევ უფრო აღმაშფოთებელია „კომუნისტის" ამხ. ებრალიძის მხეცური მოპყრობა საკუთარი შვილებისადმი.

მან 1933 წელს თავისი ცოლი 5 შვილით გაიტყუა სოფელში, ლანჩხუთის რაიონში, გაყიდა თავისი ბინა ტფილისში, შეირთო მეორე ცოლი და შეიძინა ახალი ბინა, მაგრამ იგი ახალი ცოლის სახელზე გაატარა. პირველი ცოლ-შვილი კი ლანჩხუთში მიატოვა უპატრონოდ და ულუკმაპუროდ.

ლანჩხუთის რაიონის სახალხო სასამართლომ ე. ებრალიძეს მიუსაჯა მიტოვებული ცოლ-შვილის სასარგებლოდ 1.000 მან. ერთდროული გადასახადი და ალიმენტი ჯამაგირის 50 პროცენტი ყოველთვიურად.

მაგრამ ებრალიძემ არც ერთი, არც მეორე არ გადაიხადა. მან მთელი თავისი „გამჭრიახობა" და თაღლითობის უნარი მთლიანად გამოიყენა ალიმენტის გადახდისაგან თავის დასაღწევად.

ამ დროს ევგენი არტელ „წარმატების" ხელმძღვანელობდა როცა გაიგო ალიმენტის მისვლის ამბავი, სამსახურს თავი დაანება, რათა საკუთარ ცოლშვილისათვის გზაკვალი აებნია და მოეწყო „საქტყემრეწვის" სამმართველოში პასუხსაგებ თანამდებობაზე, მაგრამ ალიმენტის გადახდას არც ახლა ფიქრობდა. საქმეში ჩაერია რესპუბლიკის პროკურატურა და „კომუნისტის" რედაქცია.

სტალინის რაიონის პროკურორმა მის ხელფასს ყადაღა დაადო და ალიმენტის დავალიანების ნაწილი ძალით დაფარეს.

ახლა ე. ებრალიძემ მტკიცედ გადაწყვიტა თავი აერიდებინა ალიმენტის გადახდისაგან. ამ უკანასკნელად მან თავი დაანება „საქტყემრეწვში" მუშაობასაც და კვლავ „გადაიკარგა". მას კვლავ დაეძებს სტალინის რაიონის პროკურატურა. სად არის ევგენი ებრალიძე?

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქ. კ.პ. (ბ) სტალინის რაიკომი მალე იპოვნის მხეც მამას, კომუნისტური პარტიის წევრის საპატიო წოდების შემარცხვენელს, წვრილბურჟუაზიული აღვირახსნილობის ჭაობში ჩაფლულს, ცხვრის ტყავში გახვეულ და პარტბილეთით შეიარაღებულ ებრალიძეს, საბოლოოდ განაიარაღებს მას და გაანთავისუფლებს პარტბილეთის ტარების მოვალეობისაგან.

სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს ხუთი შვილის ავადმყოფი დედისამარა უპატრონოდ დამყოლე, ალიმენტის ჯიუტი არგადამხდელი და საბჭოთა კანონების აბუჩადამგდები გადაგვარებული ე. ებრალიძე, კვლავ საჭიროა ამ საქმეში რესპუბლიკის პროკურორის ჩარევა.

○

ასევე უსულგულოდ ეკიდება თავის 17 წლის ქალიშვილს გიორგი შეწირული. ის პარტიის ძველი წევრია და კარგი თანამდებობაც უჭირავს მახარაძის რაიონში. მას უკვე მესამე „წყება" ოჯახი ჰყავს. 17 წლის შვილზე თინა შეწირულზე კი სავსებით აიღო ხელი. „ქალი სხვისი ნაწილიაო, ხარ და მე არ გამომადგებიო" ამ სიტყვებით გამოისტუმრა მან თინა.

თინა შეწირული უკვე მე-2 კურსზე სწავლობს რუსული ენისა და ლიტერატურის ტექნიკუმში. მიმდინარე წლის იანვრამდე მას სტიპენდია ჰქონდა, იანვრიდან კი ისიც მოეხსნა. როგორ უნდა ისწავლოს, როგორ იცხოვროს თინა შეწირულმა? რას ფიქრობს ამაზე „მამა"—გიორგი შეწირული?

○

ი. ფორჩხიძეს და გ. შეწირულს კომუნისტებადაც კი მოაქვთ თავი. მაგრამ ვინ დაიჯერებს გ. შეწირულის ან ი. ფორჩხიძის კომუნისტობას, ვინ დაუჯერებს მათ, რომ შეუძლიათ სტალინური გულისხმიერობით იზრუნონ ცოცხალ ადამიანზე, როცა მათ საკუთარი შვილები უპატრონოდ და ულუკმაპუროდ მიუტოვებიათ და ისე ეპყრობიან, რომ ძაღლსაც კი თაკილობდა?

ასეთ გადაგვარებულ ელემენტებს, რასაკვირველია, ადგილი არ დარჩება პარტიაში. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ასეთ ტიპებს გადაჰკრათ შეებრძოლოს საბჭოთა ფართო საზოგადოებრიობა: თვითეულმა, საწარმომ და დაწესებულებამ, თვითეულმა კოლექტივმა უნდა მოჰკიდოს ხელი მათ გამოსწორებას და აიძულონ ისინი ადამიანურად მოეპყრან საკუთარ შვილებსა და მშობლებს.

პროკურატურის ორგანოებმა კი რევოლუციური კანონების მთელი სისასტიკით უნდა დასაჯონ ჩვენი ქვეყნის ეს ულირსი ადამიანები.

◇ ◇ ◇

კონვერსიის წარმატებით ჩატარებისათვის

ახალი, მეორე ხუთწლედის (მეოთხე წლის გამოშვება) სესხი საქართველოში ორი თვის განმავლობაში გავრცელებულია 79,590 ათასი მანეთის რაოდენობით. გადაჭარბებით გავრცელდა სესხი მთელ საბჭოთა კავშირში (4 მილიარდის ნაცვლად 4,815 მილიარდი მანეთი).

მშრომელი ხალხი ერთსულოვნად შეხვდა წინათ გამოშვებულ სესხთა ობლიგაციების ახალ სესხზე გადაცვლის კანონს. 1-ლი სექტემბრისათვის ჩვენში 700 ათასზე მეტმა სესხმქონემ განაცხადა თავისი ობლიგაციების გადაცვლის სურვილი და გადასაცვლელად აღირიცხა დახლოვებით 190 მილიონი მანეთის ობლიგაციები.

კონვერსიის ორგანიზებულად ჩატარება დიდი პოლიტიკური და სამეურნეო ღონისძიებაა და ამიტომ მოსამზადებელი მუშაობის საუკეთესოდ გაშლა აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმისათვის, რომ ობლიგაციების გადაცვლა ვადაზე და მთლიანად მოხდეს.

ტფილისში, საფინანსო განყოფილებასთან მოეწყო სემინარები ხელმძღვანელი საფინანსო და საშემნახველო დარგის მუშაკების მოსამზადებლად. სემინარები გაიარა 50 კაცმა, რომლებიც თავის მხრივ უხელმძღვანელებენ საწარმო - დაწესებულებების მიერ გამოყოფილ რწმუნებულთა მომზადებას.

ასეთივე კურს-სემინარები გაიმართება სექტემბერსა და ოქტომბერში რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებში.

32 რაიონში სწარმოებს რაიონის შემნახველი სალაროებისათვის საკუჭნაოთა მშენებლობა, რაც უზრუნველჰყოფს ობლიგაციების საიმედოდ შენახვას.

საკავშირო ფინსახკომმა განსაზღვრა ობლიგაციების გადაცვლის ვადები. ტფილისში გადაცვლა დაიწყება 1-ლ ოქტომბერს, დანარჩენ რაიონებში კი 1-25 ნოემბერს, იმის მიხედვით, თუ როგორ იქნება ესა თუ ის რაიონი მომზადებული ამ დიდი მუშაობის დაწყებისათვის.

კონვერსიის კარგად ჩატარებისათვის მთავარია იმ მუშაკების გამოყოფა და მომზადება. რომლებიც უშუალოდ მოახდენენ გადაცვლას საწარმო - დაწესებულებებში. და სოფლად. ამისათვის თვითეული საწარმო - დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა გამოჰყოს პასუხისმგებელი პირები საანგარიშო დარგიდან და საკასო ნაწილიდან. გადაცვლის ჩამტარებელ მუშაკთა გამოყოფას ადგილობრივი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები სერიოზულად უნდა მოეკიდონ. რწმუნებულებად უნდა გამოჰყონ გამოცდილი მუშაკები, რომლებიც შესძლებენ სესხმქონეთა მომსახურებას, ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას როგორც მშრომელთა, ისე სახელმწიფოს ინტერესები.

სოფლად ობლიგაციების გადაცვლისათვის რაიონის შემნახველმა სალარომ უნდა გამოჰყოს რწმუნებულები საფინანსო დარგის და შემნახველი სალაროებს მუშაკთა შემადგენლობიდან, რომლებიც სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა გამგეობების დახმარებით უშუალოდ მოახდენენ ობლიგაციების გადაცვლას კოლმეურნე და ერთპიროვნულ გლეხებს შორის.

ზუსტად უნდა განისაზღვროს ვადები — დღე, საათი, თუ როდის მოხდება გადაცვლა ამა თუ იმ წარმოებაში, საამქროში, განყოფილებაში, სოფლად — კოლმეურნეობებში და სხვა ორგანიზაციებში.

გადაცვლას წინ უნდა უძღოდეს ობლიგაციების შემოწმება მოგებათა ცხრილებთან. ამ მიზნით უნდა მოეწყოს კუთხეები ობლიგაციების შესამოწმებლად და ცალკე კიოსკები მსხვილ საწარმო - დაწესებულებებში, ბაღებში და სოფლად.

საქ. ცაკთან არსებული სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ცენტრალური დამხმარე კომისია სექტემბერში და ოქტომბრის პირველ ნახევარში გამართავს გამსვლელ სხდომებს აჭარაში, აფხაზეთში, გორში და გურჯაანში, სადაც შეჯამებული იქნება მოსამზადებელი მუშაობა და დაისახება ამოცანები კონვერსიის უკეთ ჩატარებისათვის.

ძირეული პარტიული, პროფესიული ორგანიზაციებისა და დამხმარე კომისიების ვალია ახლავე მოჰკიდონ ხელი მოსამზადებელ მუშაობას და უზრუნველჰყონ მშრომელთა შორის ფართო ახსნა - განმარტებითი მუშაობის გაშლა ობლიგაციათა გადაცვლის მნიშვნელობის შესახებ.

ობლიგაციები, რომლებიც 1937 წლის 1-ლ სექტემბრამდე, არ გადაიცვლება, ამ ვადის გასვლის შემდეგ ძალას დაჰკარგავენ და აღარ გადაიცვლებიან. ეს გარემოება ავალებს მთელი საფინანსო სისტემის და კერძოდ შემნახველი სალაროების მუშაკებს ისე მოაწყონ საკონვერსიო მუშაობა, რომ არ დარჩეს არცერთი მშრომელი, რომელმაც წინათ გამოშვებულ სესხთა ობლიგაციები არ გადასცვალოს ახალი, მეორე ხუთწლედის (მეოთხე წლის გამოშვების) სესხის ობლიგაციებზე.

ავტოვაგზალი

ჯერ კიდევ „სოიუზტრანსის" რეორგანიზაციამდე, ტფილისში გადაწყვეტილი იყო კეთილმოწყობილი და ვრცელი ავტოვაგზლის აშენება. რადგან, როგორც ვიცით ამ მხრივ ჩვენს დედაქალაქში კარგი მდგომარეობა ვერა გვაქვს. ავტობუსებით მიმოსვლა წლითი წლობით იზრდება, ხოლო ავტოვაგზალი, რომელიც ახლა ელბაქიძის კუთხეშია მოთავსებული ორ ვიწრო დარაბაში, ნახევრადაც ვერ იტევს მისულ მგზავრებს. კარგ დარში კიდევ არაფერია, ხალხი დარაბების წინ ფილაქანზე იცდის (რაც უეჭველად არანორმალურია, რადგან ხელი ეშლება ქუჩაში მიმავალ მოქალაქეებს), ხოლო ავდარში პირდაპირ აუტანელი მდგომარეობა იქმნება — დარაბებში, რომლებიც ხალხს ვერ იტევენ პირდაპირ ჭედვაა.

ყოფ. „სოიუზტრანსის" ხელმძღვანელთა ინიციატივა ტფილისში ავტოვაგზლისათვის სპეციალურ შენობის აგების შესახებ უსათუოდ მისასალმებელი და მოსაწონი იყო.

მაგრამ ამ მხრივ, როგორც ვიცით, ჯერ პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა.

რატომ?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა საქავტოტრესტის დირექტორი ამხ. დ. ა. ბაგრატიონი.

— ტფილისში ავტოვაგზლის აშენების საკითხი, განაცხადა ამხ. ბაგრატიონმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში, უკვე გადაწყვეტილია, თანხაც მოგვეპოვება, მაგრამ საქმეს ის აყოვნებს, რომ ადგილი, სადაც იგი უნდა აიგოს, გაუნთავისუფლებელია. ავტოვაგზალი უნდა აიგოს ახლანდელი ცირკის ადგილზე. სწორედ ამ ანგარიშით ავაგეთ ჩვენ [illegible] ქუჩაზე დიდი სავტობუსო [illegible] დია: მანქანები სანაპირო ქუჩაზე გამოუსვლელად პირდაპირ შევლენ ვაგზლის პერონზე, ჩაისხამენ მგზავრებს და გაემართებიან თავ-თავიანთი მარშრუტით.

თავდაპირველად ვაგზლის აგება ჰალათოვისეულ კუნძულზე იყო განზრახული, მაგრამ იგი ახალი ცირკის მშენებლობას დაეთმო, ავტოვაგზალს კი ახლანდელი ცირკის ადგილი მიუჩინა ტფილისის საბჭომ, ხოლო რამდენადაც ცირკის მშენებლობის დაწყება ჭიანურდება, იმდენად ყოვნდება ვაგზლის მშენებლობის დაწყებაც.

როგორც ვხედავთ, ავტოვაგზლის აგების საკითხი, მჭიდროდ არის დაკავშირებული ახალი ცირკის შენობის აგებასთან. ამ უკანასკნელის დროულად გადაწყვეტა გადასწყვეტს პირველსაც.

ჩვენ მზად ვართ და გაგვითავისუფლებენ თუ არა ტერიტორიას, მაშინვე შევუდგებით მშენებლობას. კერძოდ ამ საქმისათვის 1937 წლის ფინანსიურ გეგმაში გათვალისწინებული გვაქვს 850 ათასი მანეთი.

საჭიროა ცირკის მშენებლობის საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტა, რათა ავტოვაგზლის მშენებლობის საკითხიც გადაწყდეს, თორემ მახლობელ ორ წელში აღარ გვექნება ადგილი, სადაც მგზავრთ შეეძლოთ მოცდა ავტობუსთა მოლოდინში.

ან. კელენჯერიძე.

◇ ◇ ◇

ჩვენ გვწერენ

რატომ მოხსნეს ადეიშვილი?

ეს იყო 1925 წელს, როცა ამხ. გიორგი ადეიშვილი ვანის რაიონიდან ტფილისს ჩამოვიდა სამუშაოდ. იგი პირველად მუშაობდა მშენებლობაზე, შემდეგ გადავიდა მუშურ-გლეხურ მილიციაში, სადაც დაჰყო 1934 წლამდე. აქედან სახანძრო რაზმში დაიწყო მუშაობა და, როგორც ენერგიული მუშაკი, დაწინაურდა. 1935 წლის ივლისიდან სამტრესტის № 6 საპარსაბძელო ქარხნის სახანძრო რაზმის დაცვის უფროსად დაინიშნა.

დღიდან ადეიშვილის დანიშვნისა იგი შეუდგა მის მოვალეობის კეთილსინდისიერ შესრულებას და თავდადებულ საქმიანობას, რისთვისაც იგი არაერთხელ ყოფილა დაჯილდოვებული, მაგრამ ქარხნის დირექტორს გ. ზანდუკელს რატომღაც არ ეპიტნავა გ. ადეიშვილის კეთილსინდისიერი საქმიანობა, რადგანაც ამჩნევდა, რომ ადეიშვილი თანდათანობით „გათავხედდა", ღამე მრავალჯერ ფხიზლად თვალიერობდა ქარხანას, ცალკეულ პირებსაც კი ამხილა, რომ ქარხნის ეზოს კარი მაგრად დაეკეტნა იმ ვიგინდარებისათვის, რომლებიც ზანდუკელის გულკეთილობით ქარხნის შიგნით დათარეშობდნენ.

გ. ზანდუკელმა ქარხნის ყველა პასუხსაგებ უბანზე თავისი ძმობილები და მოკეთეები მოაწყო. ზანდუკელის ქვისლი გიორგი კოტაშვილი უფროსი „მეშადაა" ქარხანაში, ცოლის ბიძა ზ. ბაბაკიშვილი ჩამომხმელ საამქროს „ხელმძღვანელობს", ნათლია ალექსანდრე ფოცხვერაშვილი უფროსი გუშაგია და მასთან წამოყენებულია კანდიდატად გ. ადეიშვილის ადგილზე სახანძრო დაცვის უფროსად გ. ზანდუკელის მიერ აი ქარხნის აპარატის „თაიგული", რომელსაც მეთაურობს „კომუნისტი" გ. ზანდუკელი.

ამ „თაიგულს" თანაგრძნობა არ გაუწია ქარხნის ტექნიკურმა დირექტორმა ამხ. ილია ლორთქიფანიძემ, რისთვისაც ზანდუკელმა იგი მოხსნა სამუშაოდან, როგორც „უვარგისი". მაგრამ „უვარგისი" ლორთქიფანიძე ამჟამად მუშაობს კონიაკის ქარხნის უფროს სპეციალისტად. ლორთქიფანიძის ადგილზე ზანდუკელმა დანიშნა საქმის უცოდინარი ტიტე კობიაშვილი, რომელიც სახელმწიფო დოვლათის გაფლანგვისათვის ერთ დროს პასუხისგებაში იყო მიცემული.

1935 წლის შუა რიცხვებში სამტრესტმა აღნიშნულ ქარხნის ტექნიკურ დირექტორად და უფროს სპეციალისტად დანიშნა საუკეთესო მუშაკი ამხ. გრიგოლ ნიჟარაძე, რომელმაც მოსვლისთანავე ბოლო მოუღო ქარხანაში გამეფებულ უწესრიგობას. მან გასცა ბრძანება დაცვის უფროსისადმი, რათა მას აეკრძალა ქარხანაში უცხო პირთა თარეში. დაცვის უფროსმა ამხ. გ. ადეიშვილმა ეს ბრძანება უყოყმანოდ შეასრულა. გ. ადეიშვილმა აღმოაჩინა ლოთობის ბუნი, რომელთაც მასპინძლობდა ადგილკომის თავმჯდომარე ბ. გრაძე და საქეიფო ადგილად მოწვეული ჰქონდა წითელი კუთხე.

აღსანიშნავია, რომ გ.-წლის ოქტომბერში „დაიკარგა" 18 ვედრო არაყი, ხოლო ნოემბერში 25 ვედრო, მაგრამ ვინ არის გულშემატკივარი?

გ. ნიჟარაძის და გ. ადეიშვილის ერთგულება და თავგამოდებული მუშაობა ქარხანაში ძრიად საწყენად დარჩა გ. ზანდუკელს და მის ერთგულ ბიჭებს. დაიწყო ბრძოლა მათ წინააღმდეგ და ა. წ. ივნისში სამტრესტთან შეთანხმების გარეშე ქარხნის საქმეთა [illegible] უმიზეზოდ მოხსნა სამუშაოდან ენერგიული მუშაკი ამხ. გ. ადეიშვილი, ასევე მათ უმიზეზოდვე მოხსნეს საუკეთესო მუშაკები: ამხ. ქ. ელიოზიშვილი, მ. წერეთელი, ოპანეზოვი (მუშა 25 წლის სტაჟით) და ერიმოვი.

საკითხავია, ვინ მისცა გ. ზანდუკელს პატიოსანი მუშაკების უმიზეზოდ მოხსნის უფლება?

ხ. ბამრეკელიძე.

◇ ◇ ◇

მოსახსნელი მოხსნით იმუქრება!

არსებობს საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება, რომლის თანახმად წითელი არმიის სათადარიგო მეთაურები სამოქალაქო სამსახურში რიგსგარეშე მიიღებიან სამპროცენტიანი ჯავშნის ანგარიშში.

ეს დადგენილება იმიტომ არსებობს, რომ ჩვენი სათადარიგო წითელი მეთაურები საბჭოთა კავშირის თავდაცვის რეზერვს წარმოადგენენ. ჩვენ მათ უნდა მოვუაროთ, ისინი უნდა შევინახოთ, რათა საჭიროების შემთხვევაში კვლავ დაუბრუნდნენ სოციალისტური სამშობლოს დამცველთა მოწინავე რიგებს.

მაგრამ ეს ბევრ ბიუროკრატს ზოგიერთი დაწესებულებიდან აინუნშიაც არ მოსდის, არ იცავს მთავრობის დადგენილებას.

სათადარიგო მეთაურებს, რომ ბიუროკრატები დაწესებულებათა კარებს უკეტავენ და თავიანთი საგზურებით უკან აბრუნებენ, ეს ხშირი შემთხვევაა, ხოლო ყველაზე აღმაშფოთებელი ის არის, რომ თვით მთავრობის მიერ გამოყოფილი და მეთაურთა სამუშაოზე მომწყობი კომისიებიც, რომელთა ერთადერთ მოვალეობას ამ ხალხის ადგილებზე მოწყობა შეადგენს, ხშირად ყოვლად უსულგულოდ ეკიდებიან სათადარიგო მეთაურებს და უმუშევრად სტოვებენ მათ.

ამ მხრივ განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ქუთაისის ქალაქის საბჭოსთან არსებულმა კომისიამ (თავმჯდომარე — მარო კოსტავა).

მეთაურ ამხ. ვარლამ ბობოხიძის თავგადასავალი ცხადჰყოფს ამ კომისიის სრულ უმოქმედობას. ბობოხიძე ერთი წელია უადგილოდ დაიარება. თავისი მდგომარეობა მან შეჩივლა საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ კომისიას, რომელმაც წინადადება მისცა ქუთაისის კომისიას ერთი დეკადის განმავლობაში მოეწყო სამსახურში ამხ. ბობოხიძე. ეს იყო 1935 წ. 3 ნოემბერს. ქუთაისის კომისიამ პასუხის გაცემაც არ იკადრა, რის გამო ბობოხიძე იძულებული გახდა ხელმეორედ შეეჩივლა სახკომსაბჭოსათვის, ა. წ. მარტის თვეში. მთავრობის კომისია ამხ. ბ. მდივნის ხელმოწერით კვლავ წინადადებას აძლევს კოსტავას დაუყოვნებლივ, რიგს გარეშე მოაწყოს ამხ. ბობოხიძე სათანადო სამუშაოზე და 3 დღეში აცნობოს შესრულება. ამის შემდეგ როგორც იქნა ამხ. ბობოხიძეს მისცეს საგზური აზოტკომბინატში, ორი თვე იარა მეთაურმა ამ საგზურით და ბოლოს ასეთი ქაღალდი მიიღო:

„ქუთაისის ქალაქის საბჭოსთან არსებულ მეთაურთა მომწყობ კომისიას: „გაცნობებთ, რომ ამ დროებით (?!) სამუშაო არ არისო".

კიდევ ერთი საგზური ჩააბარეს ბობოხიძეს და გაგზავნეს ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში — დამზადებასთან დაკავშირებით იქნებ სადმე გამოიყენოთო.

«Нет никаких место подходящих». —სწერენ იქიდან (რუსული მართლწერა ეკუთვნის თავშავაძეს).

ეს ხდება მაშინ, როდესაც საგანგებოდ ჩატარებული შემოწმებით ირკვევა, რომ აზოტმშენში, სადაც ბობოხიძეს უარი უთხრეს, 3 პროცენტიანი ჯავშნის ანგარიშში ერთი კაცის ადგილი არის და მთელ რიგ სხვა დაწესებულება-წარმოებებში თადარიგის მეთაურთათვის მიჩნეული ადგილები ზოგან 2, ზოგან 3 და მეტიც შეუვსებელია. ამავე დროს თადარიგის რამოდენიმე მეთაური დღესაც უმუშევრად არის.

კომისიის თავმჯდომარე კოსტავა ამის შემდეგ თადარიგის მეთაურს ამხ. ბობოხიძეს წინადადებას აძლევს წავიდეს ტელეფონისტად ფოსტაში და თანაც ემუქრება „თუ არ წახვალ, აღრიცხვიდან მოგხსნიო".

ჩვენ კი ვფიქრობთ. ბობოხიძის აღრიცხვიდან მოხსნამდე კოსტავა განთავისუფლდეს თავმჯდომარეობიდან, როგორც შეუფერებელი.

ან—ბერი.

○ ◇ ○

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

„სტუდქალაქის დირექციის მუშაობა მოითხოვს გარდაქმნას"

ამ სათაურით რედაქციაში შემოსული წერილის ავტორი სტუდენტი ილ. გურაშვილი გვატყობინებდა, სტუდენტთა ქალაქში მრავალი ნაკლია, ამას დირექციაც ხედავს, მაგრამ გამოსასწორებლად სათანადო ღონისძიებას არ იღებსო. წერილი გამოსაკვლევად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მდივანს ამხ. შ. ჩიხლაძეს. ამხ. შ. ჩიხლაძე გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები ძირითადად დადასტურდა. წინადადება მიეცა სტუდქალაქის დირექტორს ამხ. ვაშაკიძეს: გააუმჯობესონ სადილების ხარისხი; მოაწყონ მოსადილეთა კულტურული მომსახურება, გაიწმინდოს სასადილო-დარბაზი; საპარიკმახეროებში ფასები არ აღემატებოდეს ტფილისის საბჭოს მიერ დაწესებულ ფასებს, 15 სექტემბრამდე დამთავრდეს სამრეცხაოს მშენებლობა; 25 სექტემბრამდე დამთავრდეს აბანოს შეკეთება; დაწესდეს აბანოში მუდმივი მორიგეობა. ყველა კორპუსის რადიოფიკაცია, დამთავრდეს გადატანის სალონი, უფრო შესაფერ ოთახში. სტუდენტთა ქალაქის პარტორგანიზაციას დაევალა თვალყური ადევნოს რაიკომის ბიუროს დადგენილების შესრულებას.

თუ იმ ერის ნელონჯურად გაზრდა, ამა თუ იმ ერის ხელოვნურად შემცირება.

შესანიშნავ სურათს იძლევა ამ მხრივ ქალაქ ტფილისის მოსახლეობის მოძრაობა, რომელიც ამ საკითხის გაშუქების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია. ჩვენ აქ არ შევეხებით იმ დიდმნიშვნელოვან კაპიტალურ დაბანდებებს, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია. ჩვენ პირდაპირ შევეხებით ციფრებს, რომელნიც მოსახლეობის დინამიკას გვიჩვენებენ.

1917 წელს ქალაქ ტფილისის მცხოვრებთა რიცხვი უდრიდა 230,0 ათას. 1936 წელს კი მცხოვრებთა რიცხვი აღწევს 451 ათას.

ტფილისში მოსახლეობა გაიზარდა 1917 წლიდან 1934 წლამდე 428,0 ათასამდე, ე. ი. 198 ათასით. ამ რიცხვში შედის მცხოვრებთა მატება ბუნებრივი გამრავლების გზით—74 ათასი სული, ხოლო 124 ათასი სული უნდა ჩაითვალოს ტფილისში შემოსულად, რაიც ტფილისის კულტურულ და ეკონომიურ ზრდასთან არის დაკავშირებული. საიდან უნდა შემოსულიყო ეს ხალხი ტფილისში?

ქალაქის განვითარება და მისი მოსახლეობრივ-ნაციონალური სახეობა მჭიდროდ დაკავშირებულია ქალაქის ირგვლივ არსებული სოფლების მდგომარეობასთან. ამ საკითხის შესახებ ამხანაგი სტალინი ამბობს: **„ქალაქები იზრდებიან სოფლების ხარჯზე, ხოლო სოფელი ეროვნების შემნახველია."**

აშკარაა, რომ საბჭოთა წყობილების დროს ტფილისში შემოვიდოდა სხვადასხვა ძალები საქართველოს სოფლებიდან. ტფილისში სიმრავლის მხრივ უმთავრესი მნიშვნელობა აქვთ ქართველებს, სომხებს, რუსებს, და თურქებს. რაც შეეხება ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებს—სომხეთს და აზერბეიჯანს, იქ სომხებიც და თურქებიც თვითონ საჭიროებენ თავიანთ ძალებს, ვინაიდან სომხეთიც და აზერბეიჯანიც საქართველოსთან ერთად საოცარი ეკონომიური და კულტურული აღმავლობის პირობებში იმყოფებიან. აქაც რომ არ ვიმეტყველოთ, თითქმის მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებანი ხსენებულ რესპუბლიკებში საკმაო იქნება [illegible] რესპუბლიკების დედაქალაქის ზრდა. 1886 წელს ტფილისში ცხოვრობდა 104,2 ათასი სული, ბაქოში—86,6 ათასი, ერევანში—14,7 ათასი, ე. ი. 1935 წლამდე მოსახლეობის მხრივ ტფილისი გაიზარდა 4,1-ჯერ, ბაქო—7,7-ჯერ და ერევანი—9-ჯერ. ამგვარად, ტფილისის საერთო ზრდა დამახასიათებელია არა მარტო ტფილისისათვის, არამედ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ყველა სატახტო ქალაქისათვის. ბაქო და ერევანი თავიანთი კულტურული და ეკონომიური ცხოვრებისათვის მოითხოვენ მეტ ძალებს, ვიდრე ეს თვით ამ ქალაქებს მოეპოვებათ, ე. ი. არც აზერბეიჯანს, არც სომხეთს, სწორედ ისე, როგორც საქართველოს, არ მოეპოვება უმუშევართა ის ლაშქარი, რომლის ერთი რესპუბლიკიდან მოშორება ან მისი ექსპორტი სხვა სახელმწიფოში შეიძლებოდეს. ამგვარად, ქალაქ ტფილისის მოსახლეობა გაიზარდა თვით საქართველოს ხალხის ზრდით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალეროვნობა ახასიათებს არა მარტო ტფილისს, არამედ მთელ საქართველოს. 1926 წლის აღწერით საქართველოში ირიცხებოდა სულ 2.666,5 ათასი სული მცხოვრები, აქედან: ქართველები—67 %, სომხები — 11,5 %, რუსები — 4,2 %, თურქები —5,3 %, დანარჩენები — 11,9 %.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა წყობილების დროს საქართველოში დამყარდა ყველა ერის სრული თანასწორობა და თავისუფლება, საქართველოში მოსახლე ერებს შეეძლოთ ტფილისისათვის მოსახლეობის სათანადო რაოდენობა მიეცათ.

ავიღოთ ტფილისის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ზრდა საბჭოთა წყობილების დროს. 1934 წლისათვის ტფილისის მოსახლეობა უდრიდა ათასობით:

წლები.	საერ. რიცხვი.	ქართველები.	სომხები.	რუსები.	დანარჩენები
1922	233,9—100%	80,8—34,6%	85,3—36,5%	38,6—16,5%	29,1—24, %
1926	294,0—100%	112,2—38,5%	100,1—34,4%	45,9—15,8%	36,7—14,8%
1930	310,0—100%	132,9—42,8%	102,4—32,9%	43, —14,2%	31,8—10,2%
1934	428,3—100%	191,4—44,7%	134,8—31,5%	50,8—11,8%	51,3—12,0%

ეს ცხრილი გვიჩვენებს მეტისმეტად შესანიშნავ სურათს, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინური ნაციონალური და კულტურული—ეკონომიური განვითარების კვინტესენციად, ჩვენი პარტიის პოლიტიკის საუკეთესო ნიმუშად. მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მენშევიკების ბატონობის დამხობამდე სწარმოებდა ქართველი ხალხის, როგორც ნაციისა და მოსახლეობის რღვევა, ქალაქებში და ტფილისში ქართველი ხალხის ხვედრითი წონის სისტემატური დაცემა და დაუძლურება. საბჭოთა წყობილების დროს ეს პროცესი მოისპო. როგორც შესწყდა და მოისპო ყველა სხვა ერის დაუძლურება და შევიწროვება.

ეს ფაქტები, რომელთაც სხვა ყველა მასალაზე მეტი წონა და მნიშვნელობა აქვს, რადგან ის მთლიანი, ჩვენი ცხოვრების ყველა დარგის მიღწევების შეჯამებული შედეგია, —ტფილისში მოსახლე რომელიმე ერის შევიწროების ხარჯზე კი არა ხდება, არამედ ეს ზრდა თანამგზავრია ტფილისში მოსახლე ყველა ერის ზრდისა, ის შედეგია ყველა ერთა შორის ძმური კავშირისა და თანამშრომლობისა.

მართლაც, დააკვირდით ნუსხას. საბჭოთა წყობილების დროს ტფილისში გაიზარდა სომხობა, გაიზარდა რუსობა და სხვა ეროვნული ჯგუფები. ტფილისში ქართველობის რაოდენობის უფრო მეტად გაზრდა აიხსნება იმ უბრალო გარემოებით, რომ ქართველობა საქართველოში ყველა ერზე მეტია. ყველაფერი ეს შედეგია კომუნისტური პარტიის სწორი ნაციონალური პოლიტიკისა და ასეთსავე შედეგებს იძლევა ეს პოლიტიკა ყველა ნაციონალურ რესპუბლიკაში.

ქართველების ზრდა ტფილისში არ ხდება არცერთი სხვა ერის ხარჯზე. აქ არავითარი ადგილი არ აქვს შევიწროებას, ვისიმე ჩაგვრას.

აი, ასეთია ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის შედეგები დემოგრაფიული თვალსაზრისით.

აღიკვეთოს არტელის წესდების გამრუდებანი

(რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა)

სას.-სამ. არტელის სტალინური წესდება კოლმეურნეთა შეძლებულებად გადაქცევის ურყევი კანონია. ეს კოლმეურნეობანი, რომელნიც მტკიცედ ატარებენ ცხოვრებაში სტალინურ წესდებას თვალსაჩინოდ მოღონიერდნენ და მიაღწიეს პროდუქტების სიუხვეს. ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახ. კოლმეურნეობა, მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობა, სოფ. ჭოისანტის კოლმეურნეობა (ზუგდიდის რაიონი) უკვე მილიონერები გახდნენ. ასეთი მაგალითები ბევრია.

მაგრამ ზოგიერთ რაიონში შეხვდებით კოლმეურნეობას, სადაც ამახინჯებენ სტალინურ წესდებას. ამ დამახინჯებათა შესახებ გვწერენ ადგილებიდან „კომუნისტის" კორესპონდენტები.

ამხ. სოლ. ნებაძე იწერება, რომ ახალციხის რაიონის სოფ. ძინაძის დიმიტროვის სახ. კოლმეურნეობაში ზოგიერთ კოლმეურნეს საკარმიდამო ნაკვეთად დატოვეს ნორმაზე მეტი მიწა. ასეთსავე ფაქტებს, კორესპონდენტ ალ. გაბისონიას გადმოცემით, შეხვდებით სოფ. გვეჯკორის კოლმეურნეობაშიც. ამავე რაიონიდან ამხ. ამ. ხაინდრავა გვატყობინებს, რომ სტალინის სახ. კოლმეურნეობის წევრებს პ. შელიას და ი. ხარებავას პირად სარგებლობაში მიზომილი აქვთ ნორმაზე მეტი ფართობი.

სტალინური წესდების მესამე მუხლი ლაპარაკობს, რომ „არტელის მიწის ერთიანი მასივი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შემცირდეს". ამას ორჯონიკიძის რაიონის სოფ. ჩხერის კოლმეურნეობაში ანგარიშს არ უწევენ. მიწას წარამარა „ასაჩუქრებენ". კორესპონდენტი დ. კუკნაძე ორჯონიკიძის რაიონიდან იწერება, რომ სოფ. ჩხერის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ალ. კუკაძემ კოლმეურნეობის ფართობიდან მიწა მინაურულად აჩუქა ერთპიროვნულ მეურნეს გამცემლიძეს.

დ. ჭანკვეტაძის გადმოცემით ასეთსავე „ბეღლებობას" საკოლმეურნეო მიწების განკარგვაში იჩენს ჭიათურის რაიონის სოფ. შომახეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. მაჭარაშვილი. მან კოლმეურნე კოწია, ლევან და დავით მაჭარაშვილებს ნორმაზე მეტი მიწა დატოვა საკარმიდამო ნაკვეთად. კიდევ მეტი—კოლმეურნეობის თავმჯდომარემ იასონ მაჭარაშვილს კოლმეურნეობის თესლით დათესილი ფართობიც კი მიუზომა. ასეთი უკანონობა იმიტომ ხდება, რომ ამ კოლმეურნეობაში მიწათმოწყობა ჩატარდა რაიაღმასკომის და რაიმიწგანის მონაწილეობის მიუღებლად.

„კომუნისტის" კორესპონდენტები იძლევიან აგრეთვე სიგნალს საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევის შესახებ. წესდების მე-8 მუხლის მიხედვით „არტელიდან გამორიცხვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ არტელის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, თუ კრებას დაესწრო არტელის ყველა წევრის საერთო რიცხვის არა ნაკლებ ორი მესამედისა". ეს წესი ზოგჯერ ირღვევა. ამხ. ალ. ხურციძე სწერს: „ვანის რაიონის სოფ. ქვედაგორას კიროვის სახ. კოლმეურნეობაში გამგეობამ საერთო კრების დაუკითხავად გარიცხა სამი მოწინავე კოლმეურნე: გრ. ქართველიშვილი, აკ. ხურციძე და სერ. კაპანაძე. კოლმეურნეებში ამ ამბავმა გაკვირვება გამოიწვია. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მათ ასე უპასუხა: „ჩვენი გამგეობის დადგენილებას საერთო კრება არ ესაჭიროებაო".

არტელის წესდების მე-12 მუხლით აკრძალულია „გამგეობის მიერ სახსრების თვითნებურად გადატანა შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის ერთი მუხლიდან მეორეში; სახსრების ერთი მუხლიდან მეორეში გადასატანად გამგეობა მოვალეა ნებართვა მიიღოს საერთო კრებისაგან". კორესპონდენტ ნ. ქომეთიანის გადმოცემით, ეს წესი არ დაიცვეს ჩხოროწყუს რაიონის მუხურის კოლმეურნეობაში, აქ თანხები ერთი მუხლიდან ისე გადააქვთ მეორეში, რომ არ იწვევენ საერთო კრებას.

ამხ. ბენ. გუგავა იწერება, რომ ცაგერის რაიონის სოფ. ქვედა-ალევის კოლმეურნეობაში უგულებელჰყოფენ საერთო კრებას, მნიშვნელოვან საკითხებს არჩევენ ისეთ კრებაზე, რომელსაც 160 წევრიდან ესწრება მხოლოდ 20—25 კაცი.

[illegible] რაიონიდან კორესპონდენტი ივ. მარაქველიძე სწერს: „სოფ. კველთის სას. საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში სარევიზიო კომისიას რევიზია ერთხელაც კი არ მოუხდენია. ეს მაშინ, როდესაც წესდების მიხედვით სარევიზიო კომისიამ რევიზია უნდა მოახდინოს წელიწადში ოთხჯერ და ანგარიში ჩააბაროს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებასო".

კორესპონდენტი ქ. ორველაძე იწერება: „სამტრედიის რაიონის სოფ. ჭაგნის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში" მოუწესრიგებელია შრომა; აქ ახიავებენ საკოლმეურნეო დოვლათს. კოლმეურნეებს არ აქვთ შრომის წიგნაკები, გამომუშავებულ შრომადღეს უბრალო ქაღალდზე უწერენ. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ზაქარიაძემ და მისმა ნათესავმა რაჟდენ ზაქარიაძემ შარშან ქალაქში გაყიდეს კოლმეურნეობის ჯანსაღი ხარები და მიითვისეს 1400 მანეთი. ამ ბოროტმოქმედებისათვის პასუხი არავის მოუთხოვია".

კორესპონდენტი ქ. დგებუაძე იტყობინება, რომ ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. სიჭინავა და მოანგარიშე ფილ. სიჭინავა ხელს ითბობენ კოლმეურნეობის ფულებით და დროს ქეიფობაში ატარებენ. თავმჯდომარემ „დახმარების" სახით 3 ათასი მანეთი მისცა ერთერთ თავის „ძმაბიჭს", ხოლო წევრებს დღემდე არ მიუღიათ სრულად შრომადღეებში კუთვნილი შარშანდელი ფულადი შემოსავალი.

ამხ. ალ. მიქავა მარტვილის რაიონიდან იწერება, რომ სოფ. აბედათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში გამომუშავებული შრომადღეების შეტანა შრომის წიგნაკებში ორი კვირით ჰიანდება. კორესპონდენტ ლუკა ხურციძის განცხადებით, არის შემთხვევა, როცა აღრიცხვის მოუგვარებლობის გამო ქვედაგორის (ვანის რაიონი) კიროვის სახელობის კოლმეურნეებს ეკარგებათ შრომადღეები.

შრომის მოუწესრიგებლობას ვხვდებით დუშეთის რაიონის მეცხოველეობის მთელ რიგ ფერმებში. წესდების მე-23 მუხლი ლაპარაკობს, რომ „ბრიგადირებს და მეცხოველეობის ფერმების გამგეებს ნიშნავს არტელის გამგეობა არანაკლებ ორი წლის ვადით". გ. შარაშიძე დუშეთიდან იტყობინება, რომ წესდების ეს მუხლი ცხოვრებაში არ ტარდება კაბალხევის, კოდონხილიანის და წიფრანკანეთის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში. აქ კოლმეურნეობათა გამგეობანი წარამარა სცვლიან ფერმის გამგეებსა და მწყემსებს. კადრების ხშირი ცვალებადობის გამო დაბალია ფერმებში შრომის დისციპლინა და ხდება გაუპიროვნება.

ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ ზემოთხსენებული რაიონების კოლმეურნეობებში სტალინური წესდების სერიოზული დამახინჯებანია. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ამ რაიონების პარტიული ორგანიზაციები, რაიაღმასკომები, რაიმიწგანები და მტს-ები საფუძვლიანად არ იცნობენ ხსენებულ კოლმეურნეობათა მუშაობას, კონკრეტულად არ ხელმძღვანელობენ და არ ეხმარებიან მათ არტელის წესდების ურყევად გატარებაში.

დროა, აღიკვეთოს სას.-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ყოველგვარი გამრუდება.

◇◇

ქალების ინიციატივა

ბათომის სავაგონო უბნის ინჟინრის ამხ. ფირცხალავას ცოლმა თამარ ფირცხალავამ წერა-კითხვა შეასწავლა ვაგონების გამსინჯველს, პარტიის წევრს შქლიარს. ამხ. შქლიარი ახლა სანიმუშოდ სწავლობს პოლიტსკოლაში და ტექმინიმუმის წრეში.

სამუხრუჭე სადგურის ოსტატის ცოლი ანასტასია სამსონოვა გამოყოფილია ბათომის კვანძის ქალთა საბჭოს თავმჯდომარედ. მისი ხელმძღვანელობით მოხდა საორთქლმავლო და სავაგონო დეპოს სასადილოს გამოკვლევა. გამომჟღავნდა მთელი რიგი უარყოფითი მხარეები, რის გამო შეიცვალა სასადილოს გამგე. მის მაგივრად წამოყენებულია სავაგონო დეპოს სტახანოველი მუშის ცოლი გუგული წულაია, რომელმაც სასადილოს უკვე დაატყო დიასახლისის ხელი, განსაკუთრებით სისუფთავისა და სადილის ხარისხის გაუმჯობესების მხრივ. ასევე აქტიურად მუშაობენ დანარჩენ მუშაკთა ცოლებიც.

ქ. გ.

11 და 12 სექტემბერს ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა დიდი საღამო-სეირნობა „ძველი ტფილისი", მოწყობილი იყო სხვადასხვა ძველებური გასართობები, უკრავდა ზურნა, დუდუკი, არღანი. სეირნობას დიდძალი ხალხი დაესწრო. სურათზე: ძველი ტფილისის მოქალაქენი.

ბაზარი საბურთალოზე

1 სექტემბრიდან გაიხსნა ახალი ბაზარი საბურთალოზე. საბურთალოს მოსახლეობას, რომელიც ამჟამად 35 ათასს აღწევს, შესაძლებლობა მიეცა შეიძინოს საკვები პროდუქტები ადგილობრივ, ტფილისის რაიონის სხვა ბაზრებზე დროის დაუკარგავად. ფართო მოედანზე აგებულია 2 დიდი დახურული ფარდული ხორცის, რძის და სხვა პროდუქტების ვაჭრობისათვის და ორი გრძელი ღია მაგიდა ხილისა, მწვანილისა და ბოსტნეულისათვის. დამთავრებულია ფარდულების, სასწრაფო შენობის და თაღების მშენებლობა, სადაც ბაზარზე ჩამოსულ კოლმეურნეებს შეეძლებათ მიაბარონ თავიანთი პროდუქტი.

სპეციალურად გამოყოფილ მოედანზე სწარმოებს ვაჭრობა ნახმარი ნივთებით და ტანსაცმლით. ამ ნივთებით ვაჭრობა ტფილისის სხვა ბაზრებზე ლიკვიდირებულია.

ახალ ბაზარზე ვაჭრობა დღითიდღე ფართოვდება. ძლიერდება კოლმეურნეობათა და კოლმეურნეებისაგან ბოსტნეულის, ხილის, კვერცხის და რძის პროდუქტების შემოზიდვა. მრავლდება აგრეთვე მყიდველთა რიცხვი, რომლებიც აქ პროდუქტების შესაძენად მოდიან ტფილისის სხვა რაიონებიდანაც.

ახალი ბაზრის ნაკლად უნდა ჩაითვალოს სამრეწველო საქონლის შემხვედრი ვაჭრობის სუსტად გაშლა. არც ტფილისის უნივერმაღი, არც „სოიუზტრიკოტაჟ შვეიტორგი", ტფილკავშირვაჭრობა და სხვა ორგანიზაციები არ ჩაბმულან ამ ვაჭრობაში. სუსტად არის მომარაგებული საქონლით საჰპურტრესტის, კავშირვაჭრის და საქ. სარეწაო ვაჭრობის სავაჭრო წერტები.

საბურთალოს ბაზრის დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მისი ცუდი კავშირი ქალაქთან. ბაზარსა და ა.-ჭ. ფედერაციის ხიდს შორის მოსიარულე ორი ავტობუსი სრულებითაც არ შეუძლია მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

◆

„ტორგბანკი"

საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 17 აგვისტოს დადგენილებით მოეწყო ვაჭრობის და კოოპერაციის კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების სრულიად-საკავშირო ბანკი („ტორგბანკი").

აღნიშნული ბანკის ორგანიზაციასთან დაკავშირებით გაუქმებულია „ვსეკობანკი" და „უკრაინბანკი" ამ უკანასკნელთა აქტივისა და პასივის, აგრეთვე ქსელისა და ფილიალების „ტორგბანკისათვის" გადაცემით.

„ტორგბანკის" საქართველოს რესპუბლიკური კანტორა ტფილისში მოწყობილია 1936 წლის 1 სექტემბრიდან.

◇

შემთხვევები

# ხულიგნობა. ქუჩაში ჩხუბის ატეხისა და მოქალაქეთა შეურაცყოფისათვის დააპატიმრეს ი. ი. შანშიაშვილი (სუჯინის ქ. 25), ა. ქ. ზაზაროვი (ფიგნერის ქ. 14) და ე. გ. შამოევი (თამარის შესახ. 22). ხულიგნების საქმე სასამართლოს გადაეცა.

ნავებით ლაშქრობა

სევასტოპოლი - ბათომი - სევასტოპოლი

ბათომი, 13 სექტემბერი. ბათომში ჩამოვიდა შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა ჯგუფი, რომელიც ნავებით ლაშქრობას ახდენს სევასტოპოლიდან ბათომში და უკან.

ასეთი ლაშქრობა პირველად ხდება შავი ზღვის ფლოტის ისტორიაში. მისი მიზანია ყირიმისა და კავკასიის ნაპირების შესწავლა და წითელფლოტელთა გავარჯიშება.

გზაში სევასტოპოლიდან ბათომამდე ლაშქრობის მონაწილეებმა გამოიარეს რამდენიმე ძლიერი ქარიშხალი — ერთი ფეოდოსიასთან 7-8 ბალიანი, მეორე - ფოთთან, ორი დღეღამის განმავლობაში ნავების პირადი შემადგენლობა გააფთრებით ებრძოდა ზღვის სტიქიას.

გზა სევასტოპოლიდან ბათომამდე —600 საზღვაო მილი— რაზმმა გამოიარა 8 სასიარულო დღეში.

ბათომში ლაშქრობის მონაწილენი რამდენიმე დღეს დარჩებიან, წესრიგში მოიყვანენ თავის ნავებს და უკანვე დაბრუნდებიან.

ქრონიკა

— დღეს, საღამოს 8 ს. მწერალთა სასახლეში (მახაბლის 13) შესდგება პანტელეიმონ პეტრენკოს მიერ შესრულებულ „ვეფხვის ტყაოსნის" რუსული თარგმანის საჯარო კითხვა. თარგმანის შესაფასებლად მოწვეული არიან მწერლები და მეცნიერი მუშაკები.

ქართველი მწერლები რუსულად

მოსკოვის სახელმწიფო სალიტერატურო გამომცემლობამ წელს გამოსცა ვაჟა-ფშაველას პოემები „გოგოთურ და აფშინა", „სტუმარ-მასპინძელი", „გველის მჭამელი", ორი ნარკვევი: „ვაჟა-ფშაველას შესახებ", ვ. გოლცევისა და „ვაჟა-ფშაველა და მისი პოემები"—ალ. აბაშელისა (ტირაჟი 5000 ცალი, ფ. 1 მანეთი).

ახლო ხანში, როგორც „ლიტერატურნაია გაზეტა" იტყობინება, გამოვა ტიციან ტაბიძის ლექსებისა და პოემების კრებული; თარგმანი შესრულებულია ბ. პასტერნაკის, ნ. ტიხონოვის, პ. ანტოკოლსკის, ბ. ბრიკის, ს. სპასკის და სხვათა მიერ. კრებულში დაიბეჭდება აგრეთვე პოეტის ავტობიოგრაფია (ტირაჟი 10.000, ფ. 4 მ. 25 კაპ.).

განზრახულია გამოიცეს შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანი" ბალმონტისეული თარგმანი კ. ჭიჭინაძის რედაქციით (ტირაჟი 30.000), ა. წერეთლის ლექსები და პოემები გაფრინდაშვილის თარგმანით (ტირაჟი 5000), კ. კალაძის ლექსები ბ. პასტერნაკის, პ. ანტოკოლსკის, ვ. დერჟავინის, ს. სპასკის და ბ. ბრიკის თარგმანით (ტირაჟი 5000), კრებული „საბჭოთა საქართველოს პოეტები" ბ. ბრიკის მიერ ნათარგმნი. მასში შევიდა გ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, კ. ჭიჭინაძის, ს. ეულის, კ. კალაძის და სხვათა ლექსები (ტირაჟი 10.000).

ქართველი ბელეტრისტების ნაწარმოებთაგან იბეჭდება და მიმდინარე წელს გამოვა ე. ნინოშვილის მოთხრობები „ჩვენი ქვეყნის რაინდი", „პალიასტომის ტბა", „სიმონა", „პარტახი" და სხვ. (ტირაჟი 10.000), ი. ჭავჭავაძის მოთხრობები (ტირაჟი 10.000).

იბეჭდება და მომავალ წელს გამოვა დ. შენგელაიას „ბათა ქექია" და გ. ბააზოვის „ფეთხაინი".

სახელმწიფო სალიტერატურო გამომცემლობამ ამას გარდა დასაბეჭდად მოამზადა ქართული პროზისა და პოეზიის საიუბილეო ალმანახი „მეგობრობა" ვ. გოლცევის რედაქციით.

საქართველოს ცენტრალური საპლანერო კლუბის ბანაკი. სურათზე: პლანერისტ-კურსანტები თავისუფალ დროს ერთობიან ჭადრაკითა და შაშით.

ფოტო ხელაშვილისა

ფეხბური

„მშენებლობი" (ა.-კ. ია.)— „ლოკომოტივი" 3:0.

12 სექტემბერს გაიმართა უკანასკნელი საკვალიფიკაციო მატჩი „მშენებლებსა" და „ლოკომოტივს" შორის. უწესრიგო შეჯიბრება ჩატარდა „მშენებლების" აშკარა უპირატესობით, რომლებმაც პირველ ტაიმში იმაძის და ჩიტაიას მეტებით ორჯერ აიღეს კარი.

მეორე ნახევარში ტემპი საგრძნობლად შენელდა. „ლოკომოტივის" არაზუსტ და მილოლ პასებს ნაყოფი არ მოჰქონდა. „მშენებლებმა" კი საჯარიმო დარტყმით (კიკაძე) გაიტანეს მესამე გოლი, ხოლო თამაშის ბოლოს ვერ შეაგდეს პენალტი. უხეშობისათვის მსაჯმა ლარიონოვმა გააძევა სიმონოვი („ლოკომოტივი").

„მშენებლებს" შორის კარგად თამაშობდნენ დამცველები, მეტადრე მინდაძე და ბალი ნახევარდამცველი ჯოჯუა.

○

მთავარი მატჩის წინ გაიმართა საქართველოს „თასის" მეორე კატეგორიის თამაში ორჯონიკიძის და სტალინირის გუნდებს შორის, რომელიც ორჯონიკიძის სასარგებლოდ (3:0) დამთავრდა.

დ. ვ.

საფო მგელაძის დაკრძალვა

12 სექტემბერს მწერალი ქალის საფო მგელაძის ცხედარი გადაასვენეს მწერალთა სასახლეში, სადაც გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი. პანაშვიდს დაესწრნენ მწერლები და ფართო საზოგადოება.

[illegible] საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სახელით მწუხარება გამოსთქვა ამხ. ს. მგელაძის გარდაცვალების გამო:

— საფო მგელაძე უკანასკნელ პერიოდში შემოქმედებითს აქტიურობას იჩენდა, მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე კარგი მხატვრული ნაწარმოები. ის იბრძოდა საბჭოთა კულტურისა და ოსტატობის დაუფლებისათვის. თანამედროვე ქართველ მწერალ ქალთა შორის მას საპატიო ადგილი ეჭირა. საფოს კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო, მაგრამ აღარ დასცალდა.

დღის 1 საათზე კუბო მწერალთა სასახლიდან გამოასვენეს. პროცესია გაემართა ვაკის ახალი სასაფლაოსაკენ. სამგლოვიარო სიტყვები წარმოსთქვეს მწერალმა ქალმა ბაბილინამ და ახალგაზრდა მწერალმა ვერა შებლაძემ.

◇

სტახანოველთა ექსკურსია

13 სექტემბერს მოსკოვს გაემგზავრა ვაჭრობის სტახანოველთა ექსკურსია, რომელიც მოაწყო საქ. სახვაჭრობის კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ.

ექსკურსანტები მოსკოვის გარდა გაემგზავრებიან ლენინგრადში, კიევში, დნეპროპეტროვსკში, ხერსონში და ოდესაში, სადაც გაეცნობიან საბჭოთა ვაჭრობის დარგში მოპოვებულ მიღწევებს. ექსკურსია ერთ თვეს გასტანს.

13 სექტემბერს დილით ექსკურსიის მონაწილენი მიიღო საქ. შინავაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. ფანცხავამ.

◇

ი. ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტი

ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტის შემადგენლობა, რომელიც აღნიშნულია „კომუნისტის" 12 სექტ. ნომრის მესამე გვერდზე მოთავსებულ წერილში—„მზადება ილიას იუბილეისათვის", რედაქციის დაუდევრობით სრულად არ არის მოყვანილი. საიუბილეო კომიტეტის შემადგენლობაში შედიან აგრეთვე ამხ. ს. შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი, ა. თათარიშვილი და ი. მაშაშვილი.

◇◇

პარტკალენდარი

— ქვემოთ დასახელებულ პირებს, რომელთაც შემოტანილი აქვთ სააპელაციო განცხადებები, წინადადება ეძლევათ 17 სექტემბერს გამოცხადდნენ საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში (1 სართული, ოთახი № 17).

ამბროლაურის რაიონიდან: ვახო ლევანისძე რატიანი, დიომიდე ანტონის-ძე პელიძე, პლატონ ფირანის-ძე სირაძე, ვასილ პეტრეს-ძე საგანელიძე, ვლადიმერ იაკიმეს-ძე ვაჩაძე.

ქუთაისისის რაიონიდან: ვერა არსენის-ასული კოტრიკაძე, ვლადიმერ იოსების-ძე კილაძე, კონსტანტინე მიხეილის-ძე ქოჩიაშვილი, ვლადიმერ რევაზის-ძე ჯანჯღავა, დავით მიხეილის-ძე ქუთათელაძე, თედორე ნიკოლოზის-ძე ცირეკილიანი, მიხეილ ალექსის-ძე დოლიძე, სერგო კონსტანტინეს-ძე გოგილაძე, ვლადიმერ ერასტის-ძე განჯილაძე, პროკოფი სოფრომის-ძე რუხაძე, ბართლომე ალექსანდრეს-ძე აფრასიძე, ლეონიდე სერგოს-ძე ორხა, ალექსანდრე სერგოს-ძე მამაგეიშვილი, ვარლამ თედორეს-ძე ცქიტიშვილი, სპირიდონ გიორგის-ძე სირაძე, კლიმენტი მელიტონის-ძე ლაბაძე, დავით ალექსანდრეს-ძე ლოხამბერიძე, ხონა პავლეს-ასული გოგნიაშვილი, ნიკოლოზ მიხეილის-ძე საყვარელიძე, ნესტორ ლევარსამის-ძე გურგენიძე, ალექსანდრე გაბრიელის-ძე ფხაკაძე, შალვა ალექსის-ძე კაკაბაძე, ივანე ავთანდილის-ძე ახათიანი, ბართლომე ანტონის-ძე დეისაძე.

ქვემო-სვანეთის რაიონიდან: ანტონ ბუჯანის-ძე გაზიანი, ისიდორე ლუკას-ძე კობალიანი.

ტყიბულის რაიონიდან: ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე იდაძე, არქიპო პავლეს-ძე ბუაძე, გიორგი არჩილის-ძე როინიშვილი, ქრისტეფორე ალექსის-ძე ქევანიშვილი, ილარიონ პავლეს-ძე ბუაძე, ლონგინოზ ილიასის-ძე ბარდაველიძე, აპოლონ პარმენის-ძე ქიმოკლიძე.

ცაგერის რაიონიდან: ნადია ივანეს-ასული ყურაშვილი.

ონის რაიონიდან: მიხეილ ამირანის-ძე ბერელიძე, სიმონ პეტრეს-ძე ცეცაძე.

ზემო-სვანეთის რაიონიდან: [illegible] კვანჭიანი, ვასილ შალვას-ძე ჩიტიშვილი, გიორგი არტემის-ძე სანამაშვილი, ნიკოლოზ ბორისის-ძე ჟუზილვა.

○

— ქვემოთ დასახელებული ამხანაგები 15 სექტემბერს დილის 10 საათზე უნდა გამოცხადდნენ საქ. კ.პ.(ბ) ტფილისის კომიტეტში ა(მხ. გობეჩიას კაბინეტი) სააპელაციო განცხადებათა განმხილველი კომისიის სხდომაზე.

ლენინის რაიონიდან: მ. გურეშიძე, ა. გეჯაძე.

სტალინის რაიონიდან: ა. საკოვი, ბ. ალიბეკოვი, ნ. წერეთელი.

კიროვის რაიონიდან: ი. კაშიევი, ამ. ხაჩატუროვი, ო. ხაჩატუროვი, ნ. ეგოროვა.

ორჯონიკიძის რაიონიდან: ს. აკოპოვი, მ. ვართანიანი, გ. მაგრიკოვა.

„26"-ის სახელობის რაიონიდან: ვ. ლუპარსკი, ლ. მაკაროვი, ფ. ისმაილოვა.

○

— კიროვის რაიკომის პარტკაბინეტი 14 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე რაიკომის სხდომათა დარბაზში რაიონის პროპაგანდისტებისა, აგიტატორებისა და რაიაქტივისათვის მართავს მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობაზე. მომხსენებელია ამხ. სულეიმანი.

○

ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „საქ. კ.პ.(ბ) — მშრომელთა ავანგარდი და პროლეტარული დიქტატურის ხელმძღვანელი ბირთვი". 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია აგიტატორებისათვის თემაზე: „სამხედრო-ფაშისტური ამბოხება ესპანეთში და კაპიტალისტური სახელმწიფოების პოზიცია". 8 საათზე.

პროპაგანდის კაბინეტი —კონსულტაცია პოლიტგანათლების სკოლების პროპაგანდისტებისათვის საკითხზე: „სამოქალაქო ომი ესპანეთში". 8 საათზე.

[illegible]	
ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი მხატვრული ფილმი „ოქროს ტბა" პროგრ. დამ. ხმოვ. ჟურნ. „ალექსი სტახანოვი"
დამკვრელი 6-20, 8-15, 10-05, საზაფ. 8-30, 10-20	ახალი ხმოვანი ამერიკული მხატვრული ფილმი „დიდი ქალაქის ჩირაღდნები" სცენარი, რეჟისურა და მუსიკა ჩარლი ჩაპლინისა ბილეთების წინასწარი გაყიდვა დილის 12—5 ს-მდე.
კომკავშირელი 7-20, 9-10, 11, საზაფ. 7-40, 9-30, 11-20	
რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8, 9-30, 11	მხატვრ. ხმოვანი ფილმი „კაინი და არტიომი"
„ეთერი" 7-40, 9-20, 11-10	უკანასკნელ ორ დღეს 14 და 15/IX „ახალი ხანა"
26 კომ. სახ. 8, 10	ხმოვ. სურათის „პეპოს" სომხ. ვარ.
კომინტერნი საზაფ. 8-30, 10-30	მხატვრ. ფილმი „იბრაჰიმ და გოლდერძი"

ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი
აცხადებს,
რომ 1936/37 წლის კურსდამთავრებულთა სახელმწიფო გამოცდების სესიები დანიშნულია 1 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრამდე.

ყველა კურსდამთავრებული, რომელსაც სურს ჩააბაროს სახელმწიფო გამოცდები, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს პედინსტიტუტს თავისი მისამართი ცნობილის და პროგრამების მისაღებად.

15994 დირექტორი ა. პაპავა.

18 სექტემბერს, დღის 12 საათზე, ტუბინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის, 16)

შესდგება საჯარო პაექრობა

პროფესორი კლიმენტი ცომაია მედიცინის მეცნიერებათა ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას შემდეგ თემაზე:

„ხანგრძლივი ხელოვნური პნევმოთორაქსის გავლენა სისხლის ცირკულაციაზე"

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფესორები: ვორონინი, აბაკელია, წინამძღვრიშვილი და მიქელაძე. 663

ქალ. ტფილისის განსაკუთრებული კა[illegible]ურის სასამართლოს აღმასრულებელი დ. ა. სვანიძე ამით აცხადებს, რომ ის ა/წ. 16 სექტემბერს დღის 12 საათზე ქალ. ტფილისში სარეწაო კოოპერაციის ქ. № 18-ში

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

მოქ. შაზმი გაჯი-ოღლი შაზმაევის დავალიანების დასაფარავად მისი კუთვნილი სახლის ნახევარ წილს, შეფასებულს 3,700 მანეთად, კიროვის რაისაბჭოს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს წ/წ. 27 დეკემბრის თარიღით და 2/282 №-ით გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. საჯარო ვაჭრობის დროს დაცული იქნება საქ. სამ. საპროც. კოდექსის სათანადო მუხლები. 16000

სარეწაო არტელი „ხიტკბო"

იმყოფება [illegible] სამმართველოს გამგებლობაში. გატარებულია რეგისტრაციაში სამტრედიის რაიაღმასკომში 1936 წ. 15 იანვარს, № 11. საქმიანობის საგანი: ხილბოსტნეულის, უალკოჰოლო სასმელების, ძეხვისა და ლორის, ლუდისა და საკონდიტრო წარმოება. საანგარიშსწორებო ანგარიში № 105/1 სახბანკის სამტრედიის განყოფილებაში. მისამართი: სამტრედია, ლენინის ქუჩა.

1015 თავმჯდომარე ზამთარაძე. მთ ბუღალტერი ვერულეიშვილი.

დამწუხრებული ბიძა ვალიკო, ცოლი თამარ, შვილები: რეზიკო და დაზმირი კაპარაძეები დასტერით საყვარელ და დაუვიწყარ

პატარა სპარტაკის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდა 13 სექტემბერს ს. [illegible] 16013

გულდათუთქული მშობლები: კატუსა, ვალიკო, ბებიები: სონა, ფატი, ბაბუა პლატონი, ბაბუდა ეშა იუწყებიან მათთვის უსაყვარლეს

პატარა ცისანა გუგუნავას

დაკარგვას. გამოსვენება 14 სექტემბერს, 5 ს. ორჯონიკიძის, 37 16012

ასლი

სსსრ სახელმწიფო გამომცემლობის „სახელგამის" ბალანსი

1936 წლის 1 იანვრისათვის

აქტივი				პასივი		
№№ რიგზე	ანგარიშების დასახელება	ჯამი მან.	ჯამი კ.	ანგარიშების დასახელება	ჯამი მან.	ჯამი კ.
1	ძირითადი საშუალებანი	2.744.413	60	1. ფონდები:		
2	საწარმოო მარაგი	950.878	10	ა) საწესდებო ძირითადი საშუალებებით	2.167.559	33
3	დაუმთავრებელი წარმოება	1.154.210	50	ბ) „ საბრუნავი „	6.013.084	90
4	საქონელი და ნახაწარმი	10.016.366	53	გ) საამორტიზაციო	576.854	27
5	საქონელი გადაგზავნილი	318.790	87	დ) მ/მოსამს. ყოფაცხოვრ. გაუმჯობეს.	161.712	30
6	ფულადი საშუალებანი	579.311	06	2. რეზერვები	124.149	34
7	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	1.016.170	87	3. ნამატი საქონელზე	3.096.253	17
8	განზიდული საშუალებანი	823.702	08	4. ბანკები სესხებით:		
9	მომავალი პერიოდის ხარჯები	289.951	08	ა) გეგმიანი სესხები	1.940.628	76
				ბ) საბანკო სესხები ბრუნვაში	500.000	—
				გ) სხვა სესხები	51.200	—
				5. ანგარიშსწორებანი	1.566.156	56
				6. მომავალი პერიოდის შემოსავალი	91.189	82
				7. დაგროვება საანგარიშო წლისა	1.104.706	24
	ბალანსი	17.393.794	69	ბალანსი	17.393.794	69

კაპიტალური დაბანდებანი.

1	კაპიტალ. სამუშაოები ახალი მშენებლობისა	2,090,271	34	1. ფინანსირება კომ. ბანკიდან	2,803,300	—
2	საამშენებლო მასალა და გაწყობილება	589,984	25	2. სხვა ფინანსირება	446,790	35
3	დებიტორები	28,641	77	3. მუშა-მოსამსახურენი	43,769	80
4	დანახარჯები გასანაწილებელი	640,879	76	4. კრედიტორები	37,566	41
				5. რეზერვები	18,350	56
	ბალანსი	3,349,777	12	ბალანსი	3,349,777	12

ბალანსი დამტკიცებულია საქ. ფინსახკომის საბალანსო კომისიის მიერ 1936 წლ. 27/4, ოქმი № 11

სახელგამის გამგე კიკნაძე. მთავარი ბუღალტერი ჩხაიძე.

მოსკოვის დაუსწრებელი ინსტიტუტის
ტფილისის სამოსწავლო-საკონსულტაციო პუნქტი

ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ხსნის ქართულ სექტორს და განაგრძობს მსმენელთა მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე: **სამშენებლოსა** და **სამექანიკო-ენერგეტიკულზე,** სადაც მიღებული იქნებიან პრაქტიკოსი ტექნიკოსები.

ინსტიტუტის დამთავრებისა და სადიპლომო შრომის დაცვის შემდეგ მიენიჭებათ ინჟინრის სახელწოდება. სწავლის ვადა 4 წელი. ყველა ცნობა მიიღება 7 საათიდან 10 საათამდე, 25 თებერვლის ქ., № 2. კორესპონდენცია უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: გრიბოედოვის ქ. № 19. შრომის სასახლე. ოთახი № 93 „სნიტო".

15990 დირექცია.

ექიმი ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად.
მიღება დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 საათ.
მისამართი: კამოს ქ. № 72.

დამწუხრებული მშობლები: ვახტანგ და ელიკო ფერაძეები, რომანი და მარუსა შომახიები, შვილებით, იუწყებიან ძვირფას პატარა

ჯიმალის (ჯიმალიკო)

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 სექტემბერს 5 საათზე ლენინგრადის № 8. 16034

ქალიშვილი შუშანა ქმრით კოლია ჩხარტიშვილით, შვილით ზოტათი სამუდამოდ ვეთხოვებით უსაყვარლესი დედის ძვირფას სახეს, გულისტკივილით ვიწყებთ ჩემი კარგი დედის, მწერალ ქალის, პოეტ-ბელეტრისტის

საფო მგელაძის

გარდაცვალებას. 15992

ქ. წულუკიძის ექიმები: ლ. სანაძე, ბოკერია, კეთილაძე, მაჩაბელაძე, ე. სანაძე, ტოგონიძე, ჯალაღანია, კუპრაშვილი, ქუთათელაძე, წივწივაძე, ლეჟავა, ჩიქოვანი, მაჭარაძე, კაკაბაძე ვაუწყებთ საზოგადოებას ექიმ ნოე რატიანის შვილის პატარა

ნანულიკოს

გარდაცვალებას. 16035

დამწუხრებული მშობლები: ვერა, სერგო, მამიდა ვერა გიორგობიანები, ბებია კესა, ბაბუა პლატონ, ბიძა პარმენ ხუხიები იუწყებიან საყვარელ

პატარა ნაზიკო გიორგობიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა კოტიანეთში (სიღნაღი) 15 სექტემბერს. 16015

დამწუხრებული ცოლი ლიზა, შვილები: აფროდიტა, ავთიკო, ძმა ვალიკო ცოლით კატუშათი იუწყებიან

გიორგი ალექსის-ძე კოხრეიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 სექტემბერს კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება 5 საათზე, ცემის, 9. 16011

მეუღლე მარიამ ერისთავი, შვილი ალექსანდრე სერგოსძე, რძალი ლიდია იუწყებიან

სერგო კონსტანტინეს-ძე ერისთავის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, 7 საათზე. გამოსვენება 15 სექტემბერს, 5 ს. ორჯონიკიძის, 104. კუკიის სასაფლაოზე. 16031

მეუღლე ნინო ფავლენიშვილი, შვილები: მაკინე და მარუსა მწუხარებით იუწყებიან ძვირფას

ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ფავლენიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 13 სექტემბერს ნ. საშაბუროში. 16026

დამწუხრებულნი: ცოლი კესა, შვილები: სარლო, სიმონ, ლიზა, აკაკი, პროკოფი, აბრამ, დოროთე, ბაგრატ ჩხაიძეები ცოლშვილით იუწყებიან მამის

ლუკა ჩხაიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა აცანაში, 15 სექტემბერს, 5 ს. 16028

გულდათუთქული დედა მარიამ, ძმები: ევგენი ცოლშვილით, აკაკი, დები: საშა ქმარშვილით, ვენერა იუწყებიან, რომ 18 სექტემბერს 5 ს. დიდუბეში დანიშნულია [illegible] დოცენტის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის

გრიშა მიხეილის-ძე ნუცუბიძის

სამოქ. პანაშვიდი. 16022

ძმები შალვა ცოლ-შვილით, საშა, ცაცა. დები მინადორა, მარო ქმარშვილით, ბიძა ჯოკია ჩარკვიანი ცოლშვილით იუწყებიან დაუვიწყარი

მიშა პუპას-ძე ჩარკვიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ცაგერში, 15 სექტემბერს. 16030

მშობლები: გიორგი, ონია, მამიდა სონია, ბაბუა დავითი, ბებია ფეროსინე შვილებით ნასარიძეები, ბებია ელისაბედი, მამიდა სონია შვილებით ბასილაია იუწყებიან საყვარელ

იურის

გარდაცვალებას. დასაფლავება 14 სექტემბერს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. გამოსვენება ქალ. 1-ლი საავადმყოფოდან (ყოფ. არამიანცი) დღის ოთხ საათზე.

ამხანაგები: კიკნაძე, კოლია და შალვა თურქიძეები, ყუფარაძე, გუგუშვილი, ტატიშვილი, კუპრაშვილი; ტაბატაშვილი, პელიძე, ზანიჩკო, ჰერაძე, ბარბაქაძე, დვალიშვილი, დევდარიანი, მანიშვილი, იუწყებიან, რომ 15 სექტემბერს სუფსაში დანიშნულია

ინჟ. მიხეილ პორფირეს-ძე ჯორბენაძის

სამოქ. პანაშვიდი. 16029

გულდათუთქული დედა დესპინე, ბიძები: ერასტო სპირიდონის-ძე თოდუა, პავლე, ბიძაშვილა ზინა, ბიძაშვილი ბენიამინ ქარჩავები, ნათესავები: შალიკო, დავით ლაგვილავები იუწყებიან საყვარელ სტუდენტ

შოთა ილიას-ძე ქარჩავას

უდროოდ გარდაცვალებას. 16008

სახბანკის რესპუბლიკური ბუღალტერიის თანამშრომლები: გოდერძიშვილი, ივანოვი, იდამიანი, ფოლაძე, ციტკოვსკი, მიხინი, აბრამიშვილი, გურგენბეკოვი, კორინთელი, შანშიაშვილი მწუხარებით იუწყებიან ამხ. შალვა ავალიანის მამის

ნოე ავალიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში. 16007

დამწუხრებულნი: მეუღლე ტერეზა, ქალიშვილი მარუსია, შვილები: აპოლონი, მიხაკო, ბახვა ცოლშვილით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი

მიხე ივანეს-ძე ქვაშაძე

დაკრძალვა მოხდა 13 სექტემბერს ჯუმათში. 16001

დამწუხრებული მეუღლე ალექსანდრა, შვილები: გიორგი, ჰეჰიკო, რძალი სოფიკო, შვილიშვილი ნელი, ძმისწულები: ქეთევან, ვალენტინა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ლევანის-ძე გუნიას

გარდაცვალებას. გამოსვენება ჯ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან, დღეს 5 ს. 1600

დამწუხრებული მეუღლე ნინო, შვილი ანზორ აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ხვედრიან ივანეს-ძე მუსერიძე

სამოქ. პანაშვიდი დღეს, ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოში 7 ს. დაკრძალვა შემდეგ იქნება გამოცხადებული. 16021

დამწუხრებულნი შვილები: ალექსანდრე, პეტრე, იასონ, ეფთვიმე, რძლები ალათი, ლიდა, ნინო, ხუტა თავიანთი შვილებით იუწყებიან ძვირფას

ანტონ გუგუნავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 სექტემბერს. ს. კიწიაში (გეგეჭკორის რაიონი) 16017

გულმოკლული შვილები: ნიკოლოზ, კონსტანტინე, მარიამ, პარასკევა, გოგოლია, შალიკო, მიხეილ, მაზლიშვილები: მარინა, ნინო, რძლები: მარიამ, შურა; შვილიშვილები; სიძეები იუწყებიან

გულჩინა კონსტანტინეს-ასულ მესხის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ბაღდათში. 15 სექტემბერს. 16016

შვილები: ვალოდია, იასონ ბერაიები, რძლები: გოგუცა, კატუშა, ლუდაშვილებით; სერგო, თამარ, კუკური, ფუნთიკუშა, რეზიკო ბერაიები, აღზრდილი ირაკლი ანჯაფარიძე იუწყებიან

დესპინე ჩაჩავა—ბერაიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 სექტემბერს. 1601

ხ. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული ა—8027